- UNEP – United Nations Environment Programme – გაეროს გარემოს დაცვის საერთაშორისო პროგრამა, რომელიც რეალიზდება 1972 წლიდან და წარმოადგენს გაეროს ძირითად დამხმარე ორგანოს. მას აქვს სამი ძირითადი მიმართულება: პირველი - გარემოს ხარისხის შეფასება; მეორე - მცენარეული და ცხოველური სამყაროს სფეროში ბუნებრივი პროცესების მონიტორინგი და მართვა; მესამე - დამხმარე ღონისძიებების შემუშავება.

- გრინფისი – “მწვანე სამყარო” (Greenpeace International) – დამოუკიდებელი საერთაშორისო საზოგადოებრივი ბუნებისდაცვითი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის მიღწევას, მათვის საზოგადოებისა და ხელისუფლებათა ყურადღების მიქცევის გზით (შექმნილია კანადაში 1971 წ.) და ა.შ.

პირითალი ნაშილი

შესავალში მოტანილი საერთაშორისო დონის გადაწყვეტილებებისა [1, 2] და სხვა სპეციალური ლიტერატურული წყაროების [3-8] ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ ქვეყნების, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა იყოს შესაბამისობაში სოციალურ პოლიტიკასთან და ხელს უწყობდეს: ეკოლოგიურად ხელსაყრელი პირობების შექმნას ადამიანის ცხოვრებისათვის და მისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ეკოლოგიურ შეგნებასა და განათლებას, საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვითი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ შესრულებასა და შესრულების კონტროლში. აღნიშნულის შესაბამისად, ჩვენს მიერ კონცეპტუალურ დონეზე იქნა ფორმირებული საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის ეკოლოგიური უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი მართვის პერსპექტიული კონცეპტუალური (ლოგისტიკური) მოდელი, რაც მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ.1. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის ეკოლოგიურობის სახელმწიფოებრივი მართვის პერსპექტიული კონცეპტუალური (ლოგისტიკური) მოდელი

ცხადია, ავტოტრანსპორტის ეკოლოგიურობის ამაღლებაზე სახელმწიფოს დონეზე ზრუნვა მართლაც პირველი რიგის ამოცანაა, რამდენადაც ჩვენს ქვეყნაში გარემოს გაჭუჭყიანება

დღეისათვის ძირითადად ავტოტრანსპორტის ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოებრივი მართვის კონტექსტში უნდა განვიხილოთ შემდეგი ძირითადი გარემოსდაცვითი ღონისძიებები: ეკოლოგიური კონტროლი, ეკოლოგიური სერტიფიცირება, ეკოლოგიური ლიცენზირება, ეკოლოგიური აუდიტი, ეკოლოგიური ექსპერტიზა, ეკოლოგიური მონიტორინგი, ეკოლოგიური ნორმირება, ეკოლოგიური სტანდარტიზება, ეკოლოგიური პასპორტიზება და გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ქვემოთ განმარტებულია თითოეული აღნიშნული სახელმწიფოებრივი ღონისძიების არსი.

სახელმწიფოებრივი ეკოლოგიური კონტროლის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ადმინისტრაციული მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე, რომლის დანიშნულებაა ეკოლოგიური კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელება. გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია. სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვის ინსპექციასა და რეგულირების ობიექტს შორის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აწესრიგებს 2005 წლის 23 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

ეკოლოგიური სერტიფიცირება – სასერტიფიკაციო ობიექტის მიმართ წაყენებულ ეკოლოგიურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის დასაბუთებისათვის გაწეული საქმიანობა.

ეკოლოგიური ლიცენზირება – სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა დაკავშირებული ნებართვების გაცემასთან იმ სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებაზე, რომელიც ეხება გარემოს დაცვას. მაგალითად, ლიცენზიების გაცემა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეული დამაბინძურებლების ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, გამონაბოლქვის ზღვრულად დასაშვები ნორმატივების დადგენაზე, ნარჩენების უტილიზირებასა და განადგურებაზე, ეკოლოგიურ სწავლებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და კადრების პროფესიულ გადამზადებაზე და ა.შ.

ეკოლოგიური აუდიტი – იურიდიული პირების და მოქალაქეების საქმიანობის შემოწმება და შეფასება მავნე ზემოქმედებისგან გარემოს დაცვის უზრუნველყოფაზე, გამწმენდ და ტექნოლოგიურ მოწყობილობათა მდგომარეობის ჩათვლით, მათ შესაბამისობაზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ეკოლოგიური ექსპერტიზა – დასახული სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის შესაბამისობის დადგენა ეკოლოგიურ მოთხოვნებთან და ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტის საქმიანობის დაშვების შესაძლებლობის განსაზღვრა გარემოზე მისი ზემოქმედების ხასიათის თვალსაზრისით. ანსხვავებენ ეკოლოგიური ექსპერტიზის სავალდებულო სახელმწიფოებრივ და

აგრეთვე საზოგადოებრივ და სხვა სახეებს. უკანასკნელნი ხორციელდება ნებაყოფლობით საწყისებზე და აქვთ სარეკომენდაციო ან საინფორმაციო დანიშნულება.

გკოლოგიური მონიტორინგი (სახელმწიფო, რეგიონალური, ლოკალური, წერტილოვანი). სახელმწიფოებრივი მონიტორინგის განხორციელება ხდება გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების მიზნით, რაც მოიცავს გარემოზე ავტოტრანსპორტის და გაჭუჭყიანების სხვა წყაროების გავლენის დადგენასაც. გარემოს სახელმწიფო მონიტორინგის ორგანიზების და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ხელისუფლების მიერ და ხორციელდება გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სახელმწიფო სამსახურის მიერ.

გკოლოგიური ხორმინება წარმოადგენს გარემოს მდგომარეობის მახასიათებელი მაჩვენებლების ნორმების დადგენას ავტოტრანსპორტის მიერ მის გაჭუჭყიანებასთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, საქართველოში უნდა მოხდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვი აირების არაეკოლოგიური კომპონენტების, გარე და შიგა ხმაურის და სხვა ეკოლოგიური მახასიათებლების ტექნიკური ნორმების დადგენა საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, რათა შემდეგ კონკრეტული ავტომობილის ან შესაბამისი საწარმოს რეგულარული შემოწმების (კონტროლის) გზით შესაძლებელი იყოს მისი ეკოლოგიური მაჩვენებლების ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა აქტუალურ საკითხად რჩება ჩვენს ქვეყანაში ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების სისტემის აღდგენა.

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ეკოლოგიური პარამეტრების შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნას გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის წესები, რომლებიც აღვენენ ერთგვაროვან მოთხოვნებს ტოქსიკურობასა და ხმაურზე.

ავტომობილებისთვის სრული მასით 3500 კგ-მდე, ნახშირწყალბადების (C_mH_n) და აზოტის ჟანგეულების (NO_x) გამონაბოლქვებისათვის, დადგენილია ძრავის მუშა მოცულობისაგან დამოუკიდებელი ერთიანი ნორმები სპეციალური გამოცდების პირობებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მავნე ნივთიერებების შემცველობა ნამუშევარ აირებში
ავტომობილებისათვის სრული მასით 3500 კგ-ზღვა

სტანდარტის ტიპი	შემოღების წელი	საწვავის ტიპი	მავნე ნივთიერებების გამოფრქვევის ნორმა			
			CO, გ/ჟღ	C _m H _n +NO _x , გ/ჟღ	მყარი ნაწილაკები, გ/გამოც.	აორთქლება, გ/გამოც.
ევრო-1	1993	ბენზინის	2,72	0,97	0,14	2
		დიზელის	—	—	—	—
ევრო-2	1996	ბენზინის	2,2	0,5	—	2
		დიზელის	1,0	0,7	0,08	—
ევრო-3	2000	ბენზინის	2,3	0,2+0,15	—	2
		დიზელის	0,64	0,56	0,05	—
ევრო-4	2005	ბენზინის	1,0	0,1+0,08	—	2
		დიზელის	0,5	0,3	0,025	—

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის მოთხოვნები დიდი ტერიტორიული ავტომობილებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 2. წესები ვრცელდება აგრეთვე ძრავებზე და ავტომობილებზე, რომლებიც მუშაობენ კომპრიმირებულ ბუნებრივ და გათხევადებულ ნავთობურ აირებზე.

ცხრილი 2

ნამუშევარი აირების ტოქსიკურობის ნორმები დიდი
ტერიტორიული ავტომობილებისათვის

სტანდარტის ტიპი	შემოღების წელი	მავნე ნივთიერებების შემცველობა, გ/(კვტ•სთ)			
		CO	C _m H _n	NO _x	მყარი ნაწილაკები
ევრო-1	1995	4,5	1,1	8,0	0,36
ევრო-2	1996	4,0	1,1	7,0	0,15
ევრო-3	1999	2,0	0,6	5,0	0,1
ევრო-4	2003	1,5	0,5	3,5	0,08
ევრო-5	2005	1,0	0,5	2,0	0,05

დღესდღობით ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულია რიგი დირექტივებისა, რომლებიც ადგენებ მოთხოვნებს 2013 წლისთვის მსუბუქი საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვში ნახშირორჟანგის (CO_2) შესამცირებლად 120 გ/კმ-მდე, რაც შეესაბამება საწვავის ხარჯს დაახლოებით 5,1 ლ/100 კმ-ზე ბენზინის ძრავიანი ავტომობილისათვის. გარდა ამისა, ევროკავშირმა მიღო “სამი ოციანის” სტრატეგია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ 2020 წლისათვის მასში შემავალმა ქვეყნებმა 20%-ით უნდა შეამცირონ ტრადიციული ენერგიის წყაროების მოხმარება, 20%-ით შეამცირონ CO_2 -ის გამოფრქვევა ატმოსფეროში და 20%-ით გააფართოვონ ენერგიის არატრადიციული, აღდგენითი წყაროების გამოყენება [5,6].

ავტომობილის გარე ხმაურის დასაშვები დონეები აგრეთვე დარეგლამენტებულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის წესებით. ევროსტანდარტით გარე ხმაურზე მსუბუქი ავტომობილებისათვის ნორმა შეადგენს 74 დბ-ს. ამასთან ნორმატივები ყოველ 2-3 წელიწადში 2...3 დბ-ით მკაცრდება.

ეკოლოგიური სტანდარტიზება – ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც ადგენს შესასრულებლად სავალდებულო ნორმების, წესების, მოთხოვნების კომპლექსს. სახელმწიფო სტანდარტებით, რომლებიც მიეკუთვნება კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებს, დაკონკრეტებულია ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობის ზოგადი დებულებები.

ეკოლოგიური კასპორტიზება ნათელს პფენს გარემო ბუნებრივ პირობებზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ზემოქმედების ფაქტიურ მონაცემებს. მისი მიზანია, ეკოლოგიური სიტუაციის პროგნოზი, როგორც თვით საწარმოში, ისე მის გარშემო.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნიშნავს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების პროცედურას. ესაა პოტენციური სახის ზემოქმედების საშიშროების ხასიათის და ხარისხის წინასწარი განსაზღვრა და განხორციელებული პროექტის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება. ეს კარგად ჩანს გარემოს დაცვის შესახებ საქართველის კანონიდან – “საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით”.

დასკვნა

ფორმირებული იქნა საქართველოში ავტოტრანსპორტის ეკოლოგიურობის სახელმწიფოებრივი მართვის პერსპექტიული კონცეპტუალური მოდელი, რომლის რეალიზება უზრუნველყოფს გარემოს გაჭუჭყიანების მნიშვნელოვან შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Выстробец Е. А.** Международное сотрудничество в области охраны окружающей среды и природных ресурсов. – Москва, МНЭПУ, 2000.
2. Agreement Concerning the Adoption of Uniform Technical Prescriptions for wheeled Vehicles, Equipment and Parts which can be Fitted and/or be Used on Wheeled Vehicles and the Conditions for Reciprocal Recognition of Approvals Granted on the Basis of these Prescriptions. – Geneva, United Nations Economic Commission for Europe, Inland Transport Committee, 1995.
3. ჯ. იოსებიძე და სხვ. ავტომობილების ეკოლოგიურობის საფუძვლები. – თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009.
4. **Рябчинский А.И., Трофименко Ю.В., Шелмаков С.В.** Экологическая безопасность автомобиля. – Москва, МАДИ-ТУ, 2000.
5. **Графкина М.В.** Экологическое проектирование продукции. – Москва, МГТУ «МАМИ», 2006.
6. **Гридел Т.Е., Алленби Б.Р.** Промышленная экология. Пер. с англ.; под ред. проф. Э.В.Гиусова. – Москва, ЮНИТИ-ДАНА, 2004.
7. **Звонов В.А., Казлов А.В., Кутенев В.Ф.** Экологическая безопасность автомобиля в полном жизненном цикле. – Москва, НАМИ, 2001.
8. **Луканин В.Н., Трофименко Ю.В.** Промышленно-транспортная экология. – Москва, Высшая школа, 2001.

**ФОРМИРОВАНИЕ ПЕРСПЕКТИВНОЙ КОНЦЕПТУАЛЬНОЙ МОДЕЛИ
ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ ЭКОЛОГИЧНОСТИ
АВТОТРАНСПОРТА В ГРУЗИИ**

**В. Богвелишвили, Дж. Иосебидзе, Г. Абрамишвили, Л. Зурабишвили,
Г. Чинамдзгвришвили**

Резюме

Проанализированы декларации и конвенции ООН и других международных конференций и соглашений между странами по экологическому сотрудничеству в сфере охраны окружающей среды. В соответствии с указанным сформулирована концептуальная модель государственного управления экологической безопасности автотранспорта Грузии.

**FORMATION OF A PERSPEKTIVE CONCEPTUAL MODEL OF
ENVIRONMENT GOVERNMENT VEHICLES IN GEORGIA**

**V. Bogvelishvili, Dj. Iosebidze, G. Abramishvili, L. Zurabishvili,
G. Cinamdzgvishvili**

Summary

Analyzed by UN declarations and conventions and other international conferences and agreements between countries on environmental cooperation in the field of environmental protection. In accordance with the stated conceptual model of public administration of environmental safety of vehicles in Georgia.





УДК 621.9

**К МОДЕЛИРОВАНИЮ ДИНАМИКИ СТАНКА ДЛЯ
ДВУХКООРДИНАТНОГО КОПИРОВАЛЬНОГО ШЛИФОВАНИЯ
СЛОЖНОПРОФИЛЬНЫХ ПОВЕРХНОСТЕЙ**

Мчедлишвили Т.Ф., Зубиашвили Г. М., Амколадзе Х.М., Чхолариа Н.Н.

**(Грузинский технический университет, М. Костава 77, 0175,
Тбилиси, Грузия)**

Резюме: В предшествующих работах рассмотрены некоторые конкретные вопросы, связанные с построением копировально-шлифовальных станков для обработки сложнопрофильных изделий из древесины. В частности проведены кинематические и динамические исследования гидрокопировальных станков, предназначенных для обработки плоскоизогнутых цилиндрических деталей с постоянными поперечными сечениями. В настоящей работе дается описание гидрокопировального станка, предназначенного для двухкоординатного копирования плоскоизогнутых деталей с переменным поперечным сечением вдоль продольной оси, и на основе анализа кинематики формообразующих движений выявляются закономерности, необходимые для построения математических моделей динамики.

Ключевые слова: копировальный станок, кинематика относительных движений, следящая система, следящее кольцо, кинетическая и потенциальная энергия.

ВВЕДЕНИЕ

В работе [1, 3] приведены результаты исследований, связанные с построением кинематических и динамических моделей гидромеханических следящих систем станков для однокоординатного копировального шлифования. В развитии последних в настоящей работе рассматриваются вопросы, связанные с кинематическим анализом и получением основных

закономерностей для построения динамических моделей следящей системы станка для двухкоординатного копирования сложнопрофильных деталей из древесины, предусматривающей копировальные движения как вдоль изогнутой продольной оси, так и в радиальном направлении за переменным диаметром заготовки.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

На рис. 1 приведена структурная схема шлифовального станка, предназначенного для двухкоординатной копировальной обработки криволинейно-фасонных брусковых деталей из древесины [1].




Рис. 1. Схема гидроследящего механизма для плоско-кругловолинейных фасонных деталей

Основными структурными элементами рассматриваемого станка является:

На схема (рис. 1): 1 – ротор станка, 2 – кулачок осевых перемещений шлифовальных пневмоцилиндров, 5, 6 и 7, 8 – коромысла механизма шлифовальных цилиндров, 4 – специальное кольцо, шарнирно подвешенное с помощью рычажных элементов 13, 14, 19 – 22 на роторе станка, 23 – шатун , 24 и 25 – коромысла, на которых шарнирно подведен шатун 23. Кольцо 4 в горизонтальном направлении (вдоль плоскости шатуна 23) воздействует посредством рычажной передачи, установленной на шатуне 23 на следящий золотник (золотниковую систему), также установленную на шатуне 23. Эта золотниковая система посредством маслопроводов взаимосвязана с гидравлическим цилиндром 27, который штоком

поршня 26 шарнирно связан с коромыслом 24. Демпферы 17 и 18 служат для гашения колебаний в механизме шлифовальных цилиндров.

Для построения математической модели динамики рассматриваемой следящей системы в первую очередь рассматриваем кинематику относительных движений рабочих органов станка в процессе реализации копировальных движений [2].

В этой связи на рис. 2 представлена схема кинематики относительных движений пневмоцилиндров, управляющего кольца и ротора станка в плоскости, перпендикулярной вектору осевого перемещения заготовки.




Рис. 2. Схема кинематики относительных движений

На рисунке: 1 – обрабатываемая заготовка, 2 – шлифовальный пневмоцилиндр; 3 – следящее кольцо; O_p и O_3 – текущие положения осей ротора и заготовки, характеризуемые соответственно координатами X_p и X_3 , в неподвижной системе координат $O_0x_0y_0z_0$; O_k – текущее положение оси кольца 3; φ – угловая координата вращательного движения ротора; α – координата угловых качательных движений коромысел, поддерживающих ротор; 4 – коромысло, кинематически взаимосвязанное с радиальными перемещениями пневмоцилиндров (коромысла 7 и 8 на рис. 1); 5 – пружина, установленная в кинематической цепи между пневмоцилиндрами и следящим кольцом.

Текущее перемещение точки контакта пневмоцилиндра с заготовкой в направлении оси y' относительно оси координат выражается зависимостью

$$y_k = x_k |\sin \varphi| + r_3, \quad (1)$$

где x_k – координата точки K , а r_3 – радиус сечения заготовки.

Положения центров вращения пневмоцилиндров выражаются так [2, 3]:

$$y_{u1} = x_{31} |\sin \varphi| - x_p |\sin \varphi| + (R - \delta_1) \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}); \quad (2)$$

$$y_{u2} = x_{32} |\sin \varphi| - x_p |\sin \varphi| - (R - \delta_2) \cos \gamma_2 - r_3(x_{k2}), \quad (3)$$

где δ_1 и δ_2 – соответственно текущие деформации первого и второго пневмоцилиндров; γ_1 и γ_2 – углы наклона касательных в точках контакта K_1 и K_2 первого и второго пневмоцилиндров; x_{31} и x_{32} – координаты оси заготовки в точках контакта K_1 и K_2 ; y_{u1} и y_{u2} – координаты центров вращения пневмоцилиндров; R – диаметр пневмоцилиндра.

Здесь x_{31} и x_{32} являются функциями

$$x_{31} = f(x_k) \text{ и } x_{32} = f(x_k)$$

и в свою очередь функцией $r(x_k)$ – определяется радиус сечения заготовки, которая в случае криволинейно-фасонных поверхностей является переменной во взаимосвязи с осевыми положениями точек контактов K_1 и K_2 .

Согласно (2) и (3)

$$\delta_1 \cos \gamma_1 = (x_{31} - x_p) |\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}; \quad (4)$$

$$-\delta_1 \cos \gamma_2 = (x_{32} - x_p) |\sin \varphi| - R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2}) - y_{u2}. \quad (5)$$

Из последнего:

$$\delta_1 = \frac{1}{\cos \gamma_1} [(x_{31} - x_p) |\sin \varphi| - y_{u1} + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1})]; \quad (6)$$

$$\delta_2 = \frac{1}{\cos \gamma_2} [-(x_{32} - x_p) |\sin \varphi| + y_{u2} + R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2})]. \quad (7)$$

Из последнего:

$$\Pi_\delta = \Pi_{\delta1} + \Pi_{\delta2} = \frac{1}{2} C_\delta \delta_1^2 + \frac{1}{2} C_\delta \delta_2^2; \quad (8)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta1}}{\partial y_{u1}} = -\frac{C_\delta}{(\cos \gamma_1)^2} [(x_{31} - x_p) |\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}]; \quad (9)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta2}}{\partial y_{u2}} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_2)^2} [-(x_{32} - x_p) |\sin \varphi| + R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2}) + y_{u2}]; \quad (10)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta1}}{\partial x_p} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_1)^2} [(x_{31} - x_p) |\sin \varphi| + R \cos \gamma_1 + r_3(x_{k1}) - y_{u1}] (-|\sin \varphi|); \quad (11)$$

$$\frac{\partial \Pi_{\delta2}}{\partial x_p} = \frac{C_\delta}{(\cos \gamma_2)^2} [-(x_{32} - x_p) |\sin \varphi| + R \cos \gamma_2 + r_3(x_{k2}) - y_{u2}] |\sin \varphi|; \quad (12)$$

$$\Pi_{C11} = \frac{1}{2} C_1 (y_{u1} - y_k)^2; \quad (13)$$

$$\Pi_{c12} = \frac{1}{2} C_1 (y_{u2} - y_k)^2; \quad (14)$$

$$\Pi_{c2} = \frac{1}{2} C_1 (y_k |\sin \varphi| - x_p)^2; \quad (15)$$

$$\frac{\partial \Pi_{c2}}{\partial x_p} = C_2 (y_k |\sin \varphi| - x_p) |\sin \varphi|; \quad (16)$$

$$\frac{\partial \Pi_{c2}}{\partial y_p} = -C_2 (y_k |\sin \varphi| - x_p) |\sin \varphi|; \quad (17)$$

$$\frac{\partial \Pi_{c11}}{\partial y_{u1}} = C_1 (y_{u1} - y_k); \quad (18)$$

$$\frac{\partial \Pi_{c12}}{\partial y_{u2}} = C_1 (y_{u2} - y_k); \quad (19)$$

$$\frac{\partial \Pi_{c11}}{\partial y_k} = -C_1 (y_{u1} - y_k); \quad (20)$$

$$\frac{\partial \Pi_{c12}}{\partial y_k} = -C_1 (y_{u3} - y_k), \quad (21)$$

где: C_δ – жесткость пневмоцилиндров, C_1 – жесткость пружин, установленных между следящими кольцом и коромыслами пневмоцилиндров; C_2 – жесткость пружин, установленных между золотником гидравлического распределителя, следящей системы установленного на гатуне 23 (рис. 1) и следящим кольцом; $\Pi_{\delta1}$, $\Pi_{\delta2}$, Π_{c11} , Π_{c12} и Π_{c2} – составляющие потенциальной энергии, определяемые соответствующими упругими элементами.

С использованием уравнения Лагранжа второго рода в общей форме уравнение динамики кольца (совместно с воздействующими устройствами) запишется так:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_k}{\partial \dot{y}_k} \right) - \frac{\partial T_k}{\partial y_k} = -\frac{\partial \Pi}{\partial y_k} - \frac{\partial \Phi}{\partial \dot{y}_k} + Q_1 + Q_2, \quad (22)$$

где:

$$T_k = \frac{1}{2} m_p (\dot{x}_p)^2 + \frac{1}{2} m_k (\dot{y}_k)^2 + \frac{1}{2} m_{u1} (\dot{y}_{u1})^2 + \frac{1}{2} m_{u2} (\dot{y}_{u2})^2;$$

$$\Phi_k = \frac{1}{2} b_k \left[\frac{d}{dt} (x_p |\sin \varphi| - y_k) \right]^2 + \frac{1}{2} b_{u1} (\dot{y}_{u1} - \dot{y}_k)^2 + \frac{1}{2} m_{u2} (\dot{y}_{u2} - \dot{y}_k)^2; \quad (24)$$

T_k , Π_k и Φ_k – соответственно кинетическая и потенциальные энергии и диссипативная функция анализируемой системы.

Здесь:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_k}{\partial \dot{y}_k} \right) - \frac{\partial T_k}{\partial y_k} = - \frac{\partial \Pi_k}{\partial y_k} - \frac{\partial \Phi_k}{\partial \dot{y}_k}; \quad (25)$$

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_k}{\partial \dot{y}_k} \right) - \frac{\partial T_k}{\partial y_{u1}} = - \frac{\partial \Pi_k}{\partial y_{u1}} - \frac{\partial \Phi_k}{\partial \dot{y}_{u1}} + Q_{p1}; \quad (26)$$

$$\frac{d}{dt} \left(\frac{\partial T_k}{\partial y_{u2}} \right) - \frac{\partial T_k}{\partial \dot{y}_{u2}} = - \frac{\partial \Pi_k}{\partial y_{u2}} - \frac{\partial \Phi_k}{\partial \dot{y}_{u2}} + Q_{p2}, \quad (27)$$

а выражения обобщенных сил:

$$Q_{p1} = f_p C_\delta \delta_1 \sin \gamma_1 |\sin \varphi|, \quad (28)$$

$$Q_{p2} = f_p C_\delta \delta_1 \sin \gamma_2 |\sin \varphi|, \quad (29)$$

$$\gamma_1 = \operatorname{arctg} \left(\frac{\partial f_{31}}{\partial z_k} |\sin \varphi| \right),$$

$$\gamma_2 = \operatorname{arctg} \left(\frac{\partial f_{32}}{\partial z_k} |\sin \varphi| \right),$$

где: f_{31} и f_{32} – условные обозначения профильных кривых в окрестностях точек контактов K_1 и K_2 ; z_k – координата продольных (осевых) движений заготовки; f_p – коэффициент силы резания.

Для получения полной математической модели исследуемой гидромеханической системы рассматриваемого копировального станка полученные в работе закономерности должны быть дополнены математическими зависимостями, представляющими основу для описания динамики гидравлической части исследуемой системы.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

В результате проведенных исследований, связанных с анализом кинематики относительных формообразующих движений рабочих органов станка, выявлены исходные математические зависимости, представляющие собой определенную основу для получения развернутых выражений систем дифференциальных уравнений, описывающих динамику следящей системы копировального станка.

Литература

1. **Баламцарашвили З.Г., Мchedлишвили Т.Ф., Читидзе З.Г., Цховребашвили А.В., Амколадзе Х.М.** Динамические исследования копировальных станочных систем для шлифования сложнопрофильных поверхностей. Тбилиси, Технический университет, 2008. – 448 с.

2. **Мчедлишвили Т.Т., Наврозашвили Б.Г., Вашаломидзе А.Ю., Гвазава К.Б., Баламцарашивили З.Г.** К вопросу моделирования динамики следящей системы гидрофицированного копировально-шлифовального станка // Проблемы прикладной механики. Тбилиси, № 4 (20/1). 2005. с. 93-96.
3. **Наврозашвили Б.Г., Мчедлишвили Т.Т., Гвазава К.Б., Мчедлишвили Т.Ф.** К построению аппроксимационных моделей динамики следящего механизма копировального роторно-шлифовального станка. // Проблемы прикладной механики. Тбилиси, № 1 (18). 2005. с.62-66.

**რთულპროფილიანი ზედაპირების სახელი
ორკოროლინატიანი მაკონირებელი ჩარხის
დინამიკის მოდელირების შესახებ**

თ. მჭედლიშვილი, გ. ზუბიაშვილი, ხ. ამლოლაძე, ნ. ჩხოლარია

რეზიუმე

აღრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში განხილულია რთულპროფილიანი მერქნული ნაკეთობების დამუშავებისათვის გამიზნული მაკოპირებელი-სახეზი ჩარხების აგებასთან დაკავშირებული ზოგიერთი კონკრეტული საკითხები. კერძოდ ჩატარებულია რადიალურ კვეთებში მუდმივი რადიუსის მქონე ცილინდრული ბრტყლად გაღუნული დეტალების დამამუშავებელი ჰიდრომაკოპირებელი ჩარხების კინემატიკური და დინამიკური გამოკვლევები. წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ცვალებადი კვეთის მქონე ბრტყლად გაღუნული ცილინდრული დეტალების დამუშავებისათვის გამიზნული ჰიდრომაკოპირებელი ჩარხის აღწერა და ფორმაწარმოქმნის მოძრაობათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია დინამიკის მათემატიკური მოდელების აგებისათვის საჭირო კანონზომიერებები.

ON MODELING OF TWO-COORFINATE COPYING MACHINE'S DYNAMICS

T. Mchedlishvili, G. Zubiashvili, Kh. Amloladze, N. Chkholaria

Summary

In the earlier published articles were considered related to aimed for processing of complex profile timber items copying-polishing machines some specific issues. In particular is carried out kinematical and dynamical investigations of having in radial cross-sections cylindrical planar bended details processing hydro-copying machines. In the presented article are given the description of having variable cross-section planar bended hydro-copying machine's and grounded on the analysis of shape-generating motions are expressed required laws for construction of mathematical model of dynamics.



უკ. 629. 113. 04.

ავტომობილის საპროცენტო-დიაგნოსტიკური ოპერატორის პერიოდულობის განსაზღვრა

ვ. ლეკიაშვილი, ი. ზაქუტაშვილი, მ. ზურიკაშვილი

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)**

რეზიუმე: დამუშავებულია ავტომობილის სისტემებისა და მექანიზმების ტექნიკური მომსახურების ოპერაციების შესრულების პერიოდულობის განსაზღვრის მეთოდი დიაგნოსტიკის გამოყენებით. მხედველობაშია მიღებული დიაგნოსტირების პროცესისას სადიაგნოსტიკო პარამეტრის ცდომილებისა და არასასურველი ზემოქმედების ალბათობები, რაც დამოკიდებულია სადიაგნოსტიკო საშუალებებისა და ოპერატორის ეფექტურობაზე. პერიოდულობის ვარირება ხდება მის მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის, როდესაც განისაზღვრება მომსახურებისა და დიაგნოსტიკის ღირებულებები, მტყუნებისა და უწესივრობის აღმოფხვრის ხარჯების გათვალისწინებით. ოპტიმიზაციის კრიტერიუმად აღებულია სისტემის უმტყუნებო მუშაობის ალბათობის სასურველი დონე და კუთრი ხარჯების მინიმუმი.

საკვანძო სიტყვები: უმტყუნებო მუშაობა, ტექნიკური მომსახურება, პერიოდულობა, დიაგნოსტიკა, კუთრი ხარჯები. სადიაგნოსტიკო პარამეტრი.

შესავალი

ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის სასურველ დონეზე შენარჩუნება დაკავშირებულია ტექნიკური მომსახურების საკონტროლო-დიაგნოსტიკური ოპერაციების შესრულების პერიოდულობისა და თვით კონკრეტული ოპერაციის მიზანსა და შინაარსზე, აგრეთვე სადიაგნოსტიკო პარამეტრების გამოვლენის სიზუსტე. ეს კი

დამოკიდებულია გამოყენებული საკონტროლო-დიაგნოსტიკური მოწყობილობების ეფექტურობაზე და ოპერატორის კვალიფიკაციაზე. ეს გარემოება მოითხოვს დიაგნოსტირების დამაჯერებლობისა და არასასურველი ზემოქმედების ალბათობების განსაზღვრის აუცილებლობას. ამიტომ საჭიროა პერიოდულობის განსაზღვრისათვის დამუშავდეს მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავტომობილის კვანძებისა და მექანიზმებისათვის ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრების გამოვლენა და ოპტიმიზაცია შესრულდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმით.

პირითადი ნაწილი

პერიოდულობის განსაზღვრის ზოგადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: საწყისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება საიმედოობის მაჩვენებლები და ტექნიკური მომსახურების შრომითი ხარჯები, შეფასდება არსებული პერიოდულობის ეფექტურობა უმტყუნებო მუშაობის ალბათობისა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მინიმუმის კრიტერიუმებით. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოხდება პერიოდულობის ვარირება საშიში მტყუნებების რაოდენობის შემცირებით. ტექნიკური მომსახურების რეჟიმების კორექტირებისას ცალკეული შემოწმებებისას ეფექტურობის შედარებითი შეფასების საფუძველზე დადგინდება მათი რაციონალური მოცულობა, ყველა აღნიშნული ღონისძიებების შესრულების გათვალისწინებით საბოლოოდ დადგინდება პერიოდულობა და შესასრულებელი ოპერა-ციების მოცულობა.

საიმედოობის ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება ტექნიკური მომსახურების რეჟიმის კორექტირების დროს, შემდეგია:

- სისტემის მტყუნებებისა და უწესივრობების ინტენსიურობა $\lambda(L)$;
- მომსახურებებს შორის პერიოდში უმტყუნებო მუშაობის ალბათობა $P(L_{\text{მომ}})$;
- მომსახურებებს შორის მტყუნებების წარმოშობის ალბათობა საშიში შედეგებით $P_{\text{სა}}(L_{\text{მომ}})$;
- სისტემის ტექნიკური მომსახურების კუთრი ხარჯები $C_{\text{კუ}}(L_{\text{მომ}})$, რომელიც წარმოადგენს მტყუნებების, უწესივრობების აღმოფხვრისა და თვით ტექნიკური მომსახურებების ხარჯების ჯამს.

$P(L_{\text{მომ}})$, რომელიც საიმედოობას ახასიათებს, პერიოდულობის გაზრდით მცირდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ თუ იშვიათად შევასრულებთ გამაფრთცხილებელ სამუშაოებს, დაგროვდება უწესივრობათა წინაპირობები (რომლებიც შემდგომში განაპირობებენ მტყუნებას), გაიზრდება მათი გამოვლენის ალბათობა და მოხდება მათი უეცარი მტყუნება მომსახურებებს შორის პერიოდში, რაც საერთო ჯამში გაზრდის საშიში მტყუნებების რაოდენობას და მაშასადამე შეამცირებს $P(L_{\text{მომ}})$.

ოპტიმელურ პერიოდულობად მიიღება სიდიდე, რომელიც შეესაბამება კუთრი ხარჯების მინიმუმს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯებს $C_{\text{კ}}(L)$ აქვს ექსტრემალური (მინიმალური) მნიშვნელობა მხოლოდ მტყუნებათა ინტენსიურობის $\lambda(L)$ მზარდი მნიშვნელობის დროს. როდესაც $\lambda(L)=\text{const}$, მაშინ $C_{\text{კ}}(L)$ აქვს ჰიპერბოლის ფორმა პორიზონტალური ასიმპტოტით $C_{\text{მ}}\lambda$, სადაც $C_{\text{მ}}$ არის მხოლოდ მტყუნებათა და უწესივრობების აღმოფხვრის ხარჯები, მაშასადამე თუ $C_{\text{კ}}(L)$ არ ექნება მინიმუმი, ეს კი შასაძლებელია მტყუნებათა განაწილების ექსპონენციალური კანონის შემთხვევაში, მაშინ ტექნიკური მომსახურების შესრულება საერთოდ არაა მიზანშეწონილი [1]

ამოცანის ამოხსნის გზების მოძებნისას ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენს სადიაგნოსტიკო პარამეტრის სიდიდე (მაგალითად ფოლხვი), იგი წარმოადგენს საკვლევი სისტემის ეფექტურობის შეფასების ოფიციალურ კრიტერიუმს და მიღებულია სისტემის ფუნქციონირების ძირითად გამოსავალ მახასიათებლად. იგი არის სისტემის ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის ფუნქცია, ან სხვანაირად, იგი წარმოადგენს ელემენტების მუშაობის უნარის პარამეტრების ფუნქციას, ამიტომ მუშაობის უნარის პარამეტრების გარკვეულ ინტერვალში შენარჩუნება თავისთავად წარმოადგენს ფოლხვის შენარჩუნებას შესაბამის ინტერვალში, რაც დამოკიდებულია ტექნიკური მომსახურების პერიოდულობაზე. მაშასადამე მომსახურების გარკვეულ პერიოდულობას შეესაბამება პარამეტრის ზღვრული მნიშვნელობა.


ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს სამუშაოთა კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის წესივრულ ან მხოლოდ მუშაობისუნარიან მდგომარეობას. მივიღოთ რომ წესივრულ მდგომარეობას შეესაბამება პარამეტრის მინიმალური მნიშვნელობა, ხოლო მუშაობისუნარიან მდგომარეობას მაქსიმალური. ყველა დანარჩენი მნიშვნელობები მათ შორის იქნება მოთავსებული და ითვლება რომ დასაშვებია.

ნატურალური ექსპერიმენტი, რომელიც გამოვლინდება მომსახურების პერიოდულობასა და პარამეტრს შორის ურთიერთკავშირით, ძალზე ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც. საწარმოო-ორგანიზაციული მიზეზების გამო, ამიტომ სასურველი და აუცილებელია შეიცვალოს იგი მათემატიკური მოდელირებით.

ამოცანის ამოხსნის საწყის პირობას წარმოადგენს უმტყუნებო მუშაობის ალბათობა. (ნახ.1) თითოეულ მრუდს შეესაბამება პარამეტრის გარკვეული მნიშვნელობა, მინიმალური და მაქსიმალური (მრუდი 2), i-ური აღნიშნავს მათ შორის მნიშვნელობას.

ტექნიკური მოთხოვნების შეესაბამისად სისტემები უნდა უზრუნველყოს უმტყუნებო ფუნქციონირება გარკვეულ ინტერვალში მომსახურებებს შორის პერიოდში. ტექნიკურად შეუძლებელია და ეკონომიკურად არამიზანშეწონილია მოვთხოვოთ სისტემას აბსოლუტური

100%-იანი უმტყუნებლობა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით იგი უნდა იყოს ყველაზე მაქსიმალური. მოძრაობის უსაფრთხოებაზე მოქმედი სისტემებისათვის უმტყუნებლობის დასაშვები დონე არ უნდა იყოს 0.95-0.99-ზე ნაკლები. დანარჩენი სისტემებისათვის შეიძლება 0.85-0.90.



ნახ. 1. უმტყუნებო მუშაობის ალბათობა ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის

ავიღებთ, რა უმტყუნებლობის მაღალ დონეს და მუშაობის ეფექტურობის აუცილებელ სიდიდეს, შესაძლებელია დავამყაროთ მისი კავშირი პერიოდულობასთან მუშაობის უნარის პარამეტრების კონკრეტული მნიშვნელობებისათვის.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია მომსახურების პერიოდულობის მნიშვნელობები, რომლებიც უმტყუნებლობის დასაშვებ დონეს შეესაბამებიან თითოეული მაჩვენებლისათვის: $L_{\text{მი}}^{\text{ა}}$ და $L_{\text{მი}}^{\text{აა}}$ მინიმალური, მაქსიმალური და L_i მათ შორის მნიშვნელობებისათვის.

დიაგნოსტიკის ხარისხი დამოკიდებულია კონტროლის სისტემატურ და შემთხვევით ცდომილებებზე, ასევე გაზომვების შეცდომებზე. შესაძლებელია შეცდომათა რაოდენობის შემცირება კონტროლის გამეორებით და სხვა, მაგრამ შემთხვევითი ცდომილებების შედეგებზე გავლენის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია, ამიტომ საჭირო ხდება მათი რაოდენობრივი შეფასება.

გასაგებია, რომ საკონტროლო ოპერაციების სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებით პერიოდულობის დადგენა უნდა მოხდეს ამ საშუალებების შესაძლებლობებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

შემთხვევითი ცდომილების გავლენის დადგენისათვის საბოლოო შესრულებაზე დიაგნოსტიკის დროს გამოიყენება მუშაობის უნარიანობის პარამეტრის განაწილების სიმჭიდროვე $f_i(S)$ და გაზომვის სიმჭიდროვე $\varphi(Y)$. ამასთან არის ორი ვარიანტი: პირველი- როდესაც შემთხვევითი ცდომილებები და მუშაობის პარამეტრები განაწილებულია ნორმალური კანონით და მეორე, როდესაც ცდომილებები განაწილებულია ნორმალური კანონით, ხოლო მუშაობის პარამეტრები ვეიბულის კანონით.

შეცდომების ალბათობის საანგარიშოდ განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1) ქ. ნამდვილი მნიშვნელობა ნაკლებია ზღვრულზე $S_{\text{ზ}}$, ხოლო გაზომვის შედეგი მეტია $S_{\text{ზ}}$;

2) ქ. მნიშვნელობა მეტია $S_{\text{ზ}}$, ხოლო გაზომვის შედეგი ნაკლებია $S_{\text{ზ}}$

ეს შემთხვევები ითვალისწინებენ შემდეგ მდგომარეობებს:

A ხდომილება თუ $S_j < S_{\text{ზ}}$ და B როდესაც გაზომვის შედეგი მეტია $S_{\text{ზ}}$, ხდომილება C, თუ $S_j > S_{\text{ზ}}$ და ხდომილება D, როდესაც გაზომვის შედეგი ნაკლებია $S_{\text{ზ}}$

A და B ხდომილების ერთდროულად შესრულების ალბათობა, ე.წ. არასასურველი ზემოქმედების ალბათობა განისაზღვრება შემდეგნაირად,

$$P_{s_{\text{ზ}}b} = P(A) \cdot P(B) = \int_0^{S_{\text{ზ}}} f_i(S) dS \cdot \int_{S_{\text{ზ}} - S_j}^{\infty} \varphi(y) dy \quad (1)$$

C და D ხდომილებების ერთდროულად განხორციელების ალბათობა ე.ი. მტყუნებების გაშვების ალბათობა $P_{s_{\text{ზ}}d}$ ანალოგიურად განისაზღვრება.

არასასურველი ზემოქმედებისა და მტყუნებების გაშვების ალბათობების მისაღებად გამოიყენება მეთოდი [3], რომლის მიხედვითაც გაზომვის ცდომილებები და მუშაობის პარამეტრების განაწილების ფუნქცია $F(y)=0-1,0$ (ნახ. 2) დაიყოფა ნაწილებად, რის შემდეგაც განისაზღვრება შემთხვევითი ცდომილებები ამ ინტერვალების მიხედვით როგორც მათი სხვაობა. გამოსახულებას ექნება შემდეგი სახე:

$$P_{s_{\text{ზ}}b} = [F(Y_6) - F(Y_5)][F(S_6) - F(S_5)] + [F(Y_5) - F(Y_4)][F(S_5) - F(S_4)] + [F(Y_4) - F(Y_3)] \quad (2)$$

$$P_{s_{\text{ზ}}d} = F(Y_1)[F(S_6) - F(S_0)] + [F(Y_2) - F(Y_1)][F(S_6) - F(S_1)] + [F(S_6) - F(Y_2)][F(S_6) - F(S_2)] \quad (3)$$


(2) და (3) დამოკიდებულებები შედგენილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც ფუნქციის განაწილება დაყოფილია 6 ნაწილად, მაგრამ იგი სამართლიანი იქნება უფრო მეტ ნაწილად დაყოფის შემთხვევაშიც.

ტექნიკური დიაგნოსტიკა გამართლებულია, როდესაც შეცდომების ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე მტყუნების ალბათობა გარკვეულ და შესაბამის ინტერვალებში

$$\bar{P}(L_{\text{მომ}}) \geq P_{s_{\text{ზ}}b}(L_{\text{მომ}}) + P_{s_{\text{ზ}}d}(L_{\text{მომ}}) \quad (4)$$

სისტემებისათვის, რომლებიც მოძრაობის უსაფრთხოებაზე მოქმედებენ, არასასურველი ზემოქმედებები $P_{a,n}$, საერთოდ არამიზანშეწონილია მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი შეიძლება მიღებული იყოს კრიტერიუმად რაც გასაგებია, ამიტომ ასეთი სისტემებისათვის უნდა მივიღოთ:

$$\bar{P} (L_{\text{მომ}}) \geq P_{a,g}(L_{\text{მომ}}) \quad (5)$$



ნახ.2. დიაგნოზის შეცდომისა და ცდომილების ცვლილების საანგარიშო სქემა

დიაგნოსტიკის გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობა შეიძლება გამოვლენილ იქნას $C_{\text{ჯო}}(L_{\text{მომ}})$ ხარჯების ერთიმეორესთან შედარებით დიაგნოსტიკის შემთხვევებში და მის გარეშე თუ მივიღებთ პირობას, რომ მტყუნების აღმოფხვრის ღირებულება მომსახურების დროს ნაკლებია იმავე მტყუნების აღმოფხვრის ხარჯებზე მომსახურებებს შორის ე.ი.

$$C_{\text{ატ}}^{\text{ტ}} + nC_{\text{ფიაგ}} < C_{\text{ატ}} \quad (6)$$

სადაც $C_{\text{ფ}}$ - დიაგნოსტიკის ღირებულება ოპერაციის შესრულებისას;

n - ოპერაციების რაოდენობა (მისი სიდიდე პირდაპირპორციულია მტყუნების საშუალო ნამუშევრის და უკუპროპორციულია მომსახურების პერიოდულობის);

($L_{\text{მომ}}$)-ის პერიოდში მტყუნების აღმოფხვრის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$C_{\text{ტ}}(L_{\text{მომ}}) = \frac{C_{\text{ატ}} P_{\text{ატ}}(L_{\text{მომ}})}{L_{\text{მომ}}} \quad (7)$$

მომსახურების კუთრი ხარჯები (დიაგნოსტიკის ხარჯების გათვალისწინებით) მტყუნების ალბათობისა და ღირებულების პროპორციულია და განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$C_{\text{ტ}}(L_{\text{მომ}}) = C_{\text{ატ}}^{\text{ტ}} [P(L_{\text{მომ}}) + P_{a,n}(L_{\text{მომ}})] + C_{\text{ფ}} \quad (8)$$

მაშასადამე, მთლიანი კუთრი ხარჯების საანგარიშო გამოსახულებას შემდეგი სახე ექნება:

$$C_{\text{з} \text{ж}}(L_{\text{з} \text{ж}}) = \frac{1}{L_{\text{з} \text{ж}}} \left\{ C_{\text{з} \text{ж}}^{\text{з} \text{ж}} [P(L_{\text{з} \text{ж}}) + P_{\text{з} \text{ж}}(L_{\text{з} \text{ж}}) - P_{\text{з} \text{ж}}(L_{\text{з} \text{ж}})] + C_{\text{з} \text{ж}} + C_{\text{з} \text{ж}} \cdot P_{\text{з} \text{ж}}(L_{\text{з} \text{ж}}) \right\} \quad (9)$$

დასკვნა

მოცემული მეთოდით მომსახურების პერიოდულობის განსაზღვრა და მისი შემდგომი ვარირება ექსპლუატაციის გარკვეული პირობებისათვის იძლევა უმტყუნებლობის მაღალი დონით უზრუნველყოფის საშუალებას, მინიმალური კუთრი ხარჯებით.

- პერიოდულობის განსაზღვრის დამუშავებული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ოპერაციის შესრულებისას განპირობებულია მაღალეფექტური სადიაგნოსტიკო საშუალებების საიმედოობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **А. Шейнин.** Принципы управления надежностью машин в эксплуатации, выпуск 2, М., издательство «Знание», 1977, стр. 43.
2. ვ. ლეკიაშვილი, „ავტომობილის საიმედოობა“, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, 92 გვ.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ПЕРИОДИЧНОСТИ КОНТРОЛЬНО-ДИАГНОСТИЧЕСКИХ ОПЕРАЦИЙ АВТОМОБИЛЯ

В. Лекиашвили, И. Закуташвили, М. Зурикашвили

Резюме

Разработан метод определения периодичности контрольно-диагностических операций автомобилей с применением диагностики. Моделирование оптимизации предусматривает эффективность диагностических средств с учетом вероятностей ошибок и пропуска отказов. В качестве критериев приняты минимум удельных затрат по обслуживанию, диагностике и устранению отказов, а также уровень вероятности безотказной работы исследуемой системы.

DETERMINATION OF PERIODICITY OF MOTOR VEHICLE CONTROLLING-DIAGNOSTIC ROUTINE

V. Lekiašvili, I. Zakutashvili, M. Zurikashvili

Summary

The method of motor vehicle controlling-diagnostic routine periodicity determination by use of diagnostics is elaborated. Optimization modeling foresees the efficiency of diagnostic facilities by taking error probability and omission failures into account. Minimum of unit costs on service, diagnostics and failure restoration, as well as probability level of failure-free operation of studied system are accepted as a criteria.

УДК 621.7 (088.8)

**როტოსარაცხვი ჩარხის მშრელი იარაღის რადიალური
მიწოდების ამძრავის დაკროებულების საფუძვლები**

ო. გ. რუხაძე, ე. ო. რუხაძე

(სქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ 77 0175 თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია როტოსარაცხვი ჩარხის (მოდ. TRCC-1) მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავის თავისებურებანი და მისი დაპროექტების გადაწყვეტის გზები. იმის გათვალისწინებით რომ თანამედროვე ჩარხმშენებლობაში ფაქტიურად არ მოიპოვება მიწოდების ამძრავები, რომელთაც შეუძლიათ მრავალჯებილიანი მჭრელი იარაღის დამუტრით 800 მმ, შემცირა მბრუნავი ნამზადის მთელ სივრცეზე ($L=500 \div 600$ მმ).

საკვანძო სიტყვები: რადიალური მიწოდების ამძრავი, როტაციული რანდვა, შეჭრა, ჭია სავარცხელა წყვილი, ციგა (კარეტკა)

შესავალი

თანამედროვე ჩარხმშენებლობა აყნებს რიგ უახლეს ამოცანებს ისეთი ჩარხების შექმნის სფეროში რომელთაც ძალუბთ განახორციელონ მხურვალმედეგი და ზემტკიცე მასალების გაცხელებულ მდგომარეობაში ($Q=800 \div 1000 C^0$) დამუშავება დიდი წარმადობით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტალურგიული წარმოებისთვის საჭირო ჩარხების კონსტრუქციული გადაწყვეტა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ნამზადის ცხელ მდგომარეობაში დამუშავებასთან და მასთან თანმხვედრ ისეთ მოვლენებთან როგორიცაა: ჩარხის კვანძებისა და მჭრელი იარაღის გაზრდილ თბურ დატვირთვასთან, დენადი ბურბუშელის წარმოქმნისგან, მისი დანაწევრებისა და ტრანსპორტირების პრობლემებთან ჭრის ზონიდან, ჭრის პროცესისა და უქმი სვლის ხანგრძლივობასთან, ჭრის პროცესისთვის საჭირო ძალების განხორციელებასთან, სისტემის ჩსდი-ის (ჩარხი, სამარჯვი, დეტალი, იარაღი) მდგრადობის პირობებში და სხვა. ჩამოთვლილი


საკითხების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფს ჩარხი TRCC-1 შექმნის პროცესში. [1] [2] [3] [4] ჩარხის კვანძებიდან ერთობ მნიშვნელოვანია მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავი, რომლის კონსტრუქციული გადაწყვეტის სრულყოფა სტატიის ძირითადი ამოცანაა.

ძირითადი ნაზილი

როტაციული რანდვის პროცესი ძირითადად ეფუძნება სპეციალური კონსტრუქციის მჭრელ იარაღის [5] ნორმალურ მუშაობას, რადგანაც მჭრელი იარაღის მბრუნავი ნამზადის მთელ სიგრძეზე ($l=500 \div 600$ მმ) შეჭრის გარეშე როტაციული რანდვის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია [3] [4]. ამიტომ ჩარხის შესაბამისი ამძრავის შექმნა პრიორიტეტულია დაყენებული ამოცანის გადაწყვეტის საქმეში.

თანამედროვე ჩარხმშენებლობაში წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა კონსტრუქციის მიწოდების ამძრავები, მათგან გამოყენების თვალსაზრისით ანალიზს ექვემდებარება მხოლოდ მძიმე და ზემდიმე ჩარხების ამძრავები. აქ ძირითადში განიხილება ორი კინემატიკა: I როცა ამძრავი აღჭურვილია მუდმივი დენის ძრავით, რომელიც მართავს ამძრავის როგორც სწრაფ სვლას ასევე მუშა მიწოდებას. II როცა ამძრავი აღჭურვილია ორი ასინქრონული ელ. ძრავით, აქედან ერთი მართავს ამძრავის სწრაფ სვლას, ხოლო მეორე მუშა მოძრაობას. პირველ ვარიანტში ადგილი აქვს დიდი რაოდენობით ენერგიის ხარჯებას (მოკლე კინემატიკური ჯაჭვის პირობებში), თან მართვის ელექტრული სქემა რთულია. II-ე ვარიანტში მართვა მარტივი სქემით ხდება, მცირე ენერგიის დანახარჯების და გრძელი კინემატიკური ჯაჭვის პირობებში, თანაც როტაციული რანდვისათვის მისაღები სიზუსტის პოზიციონირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით და ამძრავის შექმნისთვის საჭირო პარამეტრების ანალიზის საფუძველზე [2] როტოსარანდავი ჩარხისთვის მოდ TRCC-1 (სხვა კვანძებთან ერთად) შეიქმნა რადიალური მიწოდების ამძრავის ტექნიკური დოკუმენტაცია [1], რომლის მიხედვითაც იგი დამზადდა თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

იხ. ამძრავის კინემატიკური სქემა. ნახ.1



ნახ. 1 როტოსარანდავი ჩარჩის მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავის კინემატიკური სქემა

ამძრავის კინემატიკა საშუალებას იძლევა განახორციელოს მჭრელი იარაღის, როტოსარანდავი თავის (სიჩქარის კოლოფთან ერთად) სწრაფი სვლა, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$V_{\text{სვ.ბ3}} = P_o \cdot n_o \cdot \sum i_c / 1000 \text{ მ/წთ} \quad (1)$$

სადაც n_o არის სწრაფი სვლის ელექტროძრავის ბრუნთა რიცხვი ბრ/წთ

$\sum i_c$ არის ჯამური გადაცემის ფარდობაა, ელექტრო ძავიდან ამძრავის კინემატიკური ჯაჭვის ბოლო ჭია-სასავარცხლე წყვილამდე.

P_o - ჭია სასვარცხლე წყვილის ბიჯია მმ-ში.

მჭრელი იარაღის მბრუნავ ნამზადში ჭრის სიღრმეზე შეჭრის დრო, იანგარიშება ფორმულით

$$T_{\text{ავ.3}} = 60 \left[\frac{L_0 S_{\text{მარა.მ0}}}{V_{\text{სვ.1}} + (L_1 + L_2)} \right] \quad (2)$$

სადაც $V_{\text{სვ.ბ3}} \approx 2440 \text{ მმ/წთ}$ - სწრაფი სვლის სიჩქარეა.

$L_o = 700 \text{ მმ}$ - უქმი სვლის სიგრძეა შეჭრამდე.

$L_1 = t = 5 \text{ მმ}$ - შეჭრაზე (ჭრის სიღრმეზე) სვლის სიგრძეა.

$L_2 = 3 \text{ მმ}$ - შეჭრაზე უქმი მუშა სვლის სიგრძეა.

$S_{\text{მარა.მ0}}$ მუშა მიწოდების სიღიდეა მმ/წთ.

გაანგარიშებათა საფუძველზე (1) ფორმულით დადგენილი იქნა სწრაფი სვლის სიჩქარე $V_{\text{სწ.}} = 2.5 \text{ მ/წთ}$, ხოლო შეჭრის დრო $T_{\text{გვ}} = 26 \div 63 \text{ წმ}$. ამასთან მუშა მიწოდებების დიაპაზონი უზრუნველყოფილია რადიალური მიწოდების ამძრავის კინემატიკით $S_{\text{გვ.მიმ.}} \approx 10 \div 63 \text{ მმ/წთ}$ [2]. ჩარხი მოდ. TRCC-1 ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნის პროცესში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოების შესრულების შედეგად დადგენილი იქნა ჩარხის ოპტიმალური ჭრის რეზიმებით მუშაობის პირობებში ჭრის ძალის რადიალური მდგენელის მაქსიმალური მნიშვნელობა $\sum P_y = 150 \text{ კნ}$. [2].

ამ ამოცანის საფუძველზე გაანგარიშებული იქნა რადიალური მიწოდების ამძრავის ბოლო, (როგორც ყველაზე ხისტის) ჭია-სავარცხელა წყვილის ტექნიკური პარამეტრები: P_0 და m იხ. ნახ.1.

რაც შეეხება მჭრელი იარაღის შეჭრის სიდიდის სიზუსტის ათვლას, იგი განხორციელდა ავტომატურ რეჟიმში მომუშავე ათვლის მექანიზმის შექმნით [2].

აღნიშნული საპროექტო-სამეცნიერო შრომების ბაზაზე განხორციელდა მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების მექანიზმის მატარი კვანძის, ციგის (კარეტკის) საწყისი საანგარიშო მონაცემების განსაზღვრა.

ამძრავის სისტემაზე მოქმედი ჭრის ძალების კოორდინატებია. იხ. ნახ.2

$$Y_C = 128 \quad \text{ნმ}$$

$$Y_{PI} = Y_G + Y_I = 69 \quad \text{ნმ}$$

$$Y = Y_G = 46 \quad \text{ნმ}$$

$$Y_{P2} = Y_C + Y_2 = 49.367 \quad \text{ნმ}$$

$$Y_I = 22.49 \quad \text{ნმ}$$

$$Y_{P3} = Y_C - Y_3 = 33.41 \quad \text{ნმ}$$

$$Y_2 = 3.367 \quad \text{ნმ}$$

$$Z_{PI,2,3} = 93.247 \quad \text{ნმ}$$

$$Y_3 = 12.59 \quad \text{ნმ}$$

ჭრის ძალის მდგენელები [2]

$$P_{XI} = 25.76 \quad \text{კნ}$$

$$P_{ZI,2,3} = 0.93 \quad \text{კნ}$$

$$P_{X2} = 18.69 \quad \text{კნ}$$


$$P''_{ZI} = 22.40 \quad \text{კნ}$$

$$P_{X3} = 20.95 \quad \text{კნ}$$

$$P''_{Z2} = 3.28 \quad \text{კნ}$$

$$P_{yI,2,3} = 25.76 \quad \text{კნ}$$

$$P''_{Z3} = 12.26 \quad \text{კნ}$$



ნახ. 2 მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავის წევის ძალისა და ჩარხის
მიმმართველებზე მოქმედი ძალების საანგარიშო სქემა

V -სებრი შედგენილი მიმმართველის სიგანე $a=b=21$ სმ,

პრტყელი მიმმართველისთვის $C=16$ სმ,

ხოლო, საფიქსაციო ანუ მოსაჭერი ნაწილის ფართი $F=3.2$ სმ² იხ. ნახ. 2

ჭრის ძალების საწყისი მონაცემებისა და საანგარიშო სქემის პარამეტრების (ნახ.2) მიხედვით ვსაზღვრავთ როტოსარანდავი ჩარხის მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავის წევის ძალას ფორმულით (3).

$$Q = K \sum P_{xi} + 1/3 \mu \left[(G_k + \sum P_{zi}) \cdot (1 + \frac{2}{\cos \alpha}) \right] + P_{\text{გრ}} \quad 3)$$

სადაც, $\sum P_{xi}$ - არის ჯამური ჭრის ძალების გეგმილი X ღერძზე იხ. ნახ.2.

$K=1.4$ -არის ჭრის ძალების მოქმედების გამო ციგის ჰორიზონტალური მდგომარეობიდან გადახრის გამათვალისწინებელი კოეფიციენტი.

$\mu = 0.14 \div 0.2$ ხახუნის კოეფიციენტია,

$\sum G_k$ არის ციგის ჯამური წონა კნ,

$\sum P_{zi}$ არის ჯამური ჭრის ძალების გეგმილი Z ღერძზე იხ. ნახ.2. კნ.

$$\sum P_{Zi} = -P_{Z1}' - P_{Z2} - P_{Z3} - P_{Z1}'' - P_{Z2}'' + P_{Z3}'' \quad \text{36} \quad (4)$$

ციგის მიმართველზე (შეზეთვის გამო) მიწებების ძალები,

$$P_{\text{აღვ}} = [P_{\text{აღვ}}] \sum F \quad (5)$$

სადაც, $\sum F$ -არის ციგის საღარის მიმართველებთან შეხების ჯამური ფართობი სმ²,

$[P_{\text{აღვ}}] = 0.5 \frac{\text{ნ}}{\text{სმ}^2}$ - არის მხების ძალა, რომელიც წარმოიშვება შეზეთილი ზედაპირის 1 სმ² ფართზე ციგის დაძვრის მომენტში. $\psi = 60^\circ$ არის შედგენილი V სებრი მიმართველის ნახევარი კუთხი.

საღარის მიმართველებზე მოსული საშუალო ხვედრითი დატვირთვის სიდიდეების განსაზღვრას ვახდენთ სტატიკის პირობიდან. რეაქციის ძალა პორიზონტალურ სიბრტყეში $\sum Y = 0$ იხ. ნახ.2.

$$R_A = \frac{(R_B \sin \beta + \sum P_{yi})}{\sin \alpha} \quad \text{36} \quad (6)$$

სადაც, $\alpha = \beta = 30^\circ$ შედგენილი პორიზონტალური მიმართველების დახრის კუთხეებია,

$\sum P_Y$ -არის ჭრის ძალების ჯამური გეგმილი Y ღერძზე

$$\sum P_i = P_{Y1} + P_{Y2} + P_{Y3} \quad \text{36} \quad (7)$$

რეაქციის ძალა ვერტიკალურ სიბრტყეში $\sum Z = 0$

$$R_B = \frac{(\sum G - R_A \cos \alpha - R_c - \sum P_{zi})}{\cos \beta} \quad \text{36} \quad (8)$$

$$\sum M = 0$$

$$R_c = \frac{[\sum G Y_G (P_{Z1}' + P_{Z1}'') \cdot Y_{P1} - (P_{Z2}' + P_{Z2}'') \cdot Y_{P2} + (P_{Z3}'' - P_{Z3}') - \sum P_{yi} Z_{Pi}]}{Y_c} \quad \text{36} \quad (9)$$

საშუალო ხვედრითი ძაბვა მიმართველების წახნაგებზე

$$q_A = \frac{R_A}{F_A} \quad \text{33a} \quad q_B = \frac{R_B}{F_B} \quad \text{33a} \quad (10)$$

შედგენილი პრიზმატული მიმართველების კონტაქტური ზედაპირების ფართი

$$F_A = F_B = aL = 21 \cdot 280 = 5880 \text{ სმ}^2$$

სადაც, მიმართველის წახნაგის ფართი $a = 21$ სმ ხოლო კონტაქტური წახნაგის სიგრძე $L = 280$ სმ

იმის გამო, რომ, რეაქცია R_C არის უარყოფითი ნიშნით, (იხ. ცხ.1) ამიტომ მუშაობაში მონაწილეობას იღებს მომჭერი თამასა (პლანკა). შესაბამისად ზვედრითი ძაბვა ამ ზედაპირზე

$$q_C = \frac{Rc}{F'_C} \quad \text{მკა} \quad (11)$$

მომჭერი თამასას საკონტაქტო ფართი

$$F_C = C'L = 3.2 \cdot 270 = 864 \text{ სმ}^2$$

სადაც, $C'=3.2$ სმ არის საკონტაქტო ზედაპირის სიგანე ხოლო $L=270$ სმ თამასას სიგრძე

წევის ძალის და მიმმართველებზე მოსული ზვედრითი წნევის საანგარიშო მნიშვნელობანი.

ცხ.1

$\sum P_{Xi}$	$\sum G$	$\sum P_{zi}$	$\sum F$	$P_{\text{შვ}}$	Q	R_A	R_B	R_C	q_A	q_B	q_C
გნ	გნ	გნ	სმ ²	გნ	გნ	გნ	გნ	გნ	მკა	მკა	მკა
65.4	117.8	16.21	16240.0	8.12	121.8	176.15	210.85	-16.9	0.299	0.358	0.195

აღსანიშნავია ის, რომ როტოსარანდავი ჩარხის მუშაობის ნორმალური პროცესი და დამუშავების სიზუსტე დიდადაა დამოკიდებულია რხის მიმმართველების ტიპზე ანუ ციგის მოძრაობის თვითდაცენტრულისა და მჭრელი იარაღის მდებარეობის პოზიციონირების სიზუსტეზე. აქედან პირველი უზრუნველყოფილია შედგენილი პრიზმატული მიმმართველებით იხ. ნახ.2 ხოლო მეორე სპეციალური ათვლის მექანიზმით რომელიც მუშაობს ავტომატურ ციკლში [2].

რაც შეეხება მიმმართველების ტიპს, ისინი შერჩეული არიან პიდროლინამიური ეფექტის მქონე კონსტრუქციის ვარიანტით.

როგორც გაანგარიშების მონაცემებიდან ჩანს, იხ. ცხ.1 მიმმართველების ყველაზე დატვირთული უბანი არის V -სებრი მიმმართველები. ვითვალისწინებთ მიღებულ გაანგარიშებებს და მათ ვადარებთ სტანდარტით დასაშვებ სიდიდეს. ციგის და სადგარის მასალებისთვის (რუხი თუკი) - რ.თ სტანდ. 1412-70 ვლებულობთ:

$$q_B = 0.358 < [q_{\text{საშ}}] = 0.5 \text{ მკა} \quad (12)$$

შედეგად, სიმტკიცის პირობა დაკმაყოფილებულია [2].

მჭრელი იარაღის რადიალური მიწოდების ამძრავის დაპროექტების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლოფის მართვის სისტემის კერძოდ, ელექტროძრავების სიმძლავრეების

განსაზღვრა. ამოცანას ართულებს ის რომ, საქმე გვაქვს ორიგინალური კონსტრუქციის კოლოფთან, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი. ამიტომ გაანგარიშების სიზუსტე ფაქტიურად განსაზღვრავს ამძრავის ვარგისიანობას მუშაობის პროცესში. შესაბამისად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას წინ უსწრებდა ჩატარებული საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები [2].

მჭრელი იარაღის- როტორანდვისთვის სწრაფი გადაადგილების ელექტროძრავის სიმძლავრეს განვსაზღვრავთ ფორმულით:

$$N_{\text{b.v.b3}} = \frac{Q \cdot V_{\text{b.v.b3}}}{6120 \eta_{\text{b.v.b3}}} \approx 7.4 \text{ კვტ} \quad (13)$$

$\eta_{\text{b.v.b3}}=0.67$ - ამძრავის მ.ქ.კ-ია სწრაფი სვლის დროს [2]

სადაც $Q=121.8$ კნ - წევის ძალაა იხ. ცხ.1

შევირჩიეთ სამფაზიანი ასინქრონული ელექტროძრავი მოდ $M300\ 4A132\ M4Y3$, სიმძლავრით $N=15$ კვტ $n_0=1500$ ბრ/წთ იხ. ნახ.1

ამძრავის მუშა მიწოდებების ელექტრო ძრავის სიმძლავრის განსაზღვრას ვახდენთ ფორმულით

$$N_{\text{a.b3.}} = \frac{Q_a \cdot S_{\max}}{1000 \cdot 4500 \cdot \eta_{\text{a.b3}}} \cdot 0.735 + N_{\text{b.v.b3}} = 8.7 \text{ კვტ} \quad (14)$$

სადაც, $Q=328000$ ნ წევის ძალაა ჭრის პროცესის დროს [2].

$S_{\max}=145$ მმ/ბრ - როტოსარანდავი თავის მჭრელი იარაღის მაქსიმალური მიწოდების სიდიდეა ჭრის დროს $\eta_{\text{a.b3.}} = 0.599$ ამძრავის მ.ქ.კ-ია ჭრის დროს [2].

$N_{\text{b.v.b3.}} = 7.4$ კვტ სწრაფი სვლის სიმძლავრეა. შევირჩიეთ ასინქრონული ძრავი მოდ $MI100\ 4A160\ M6Y3$, სიმძლავრით $N=15$ კვტ, $n_0=1000$ ბრ/წთ, $n_{\text{ფ.ფ}}=970$ ბრ/წთ.

დასკვნა

როტოსარანდავი ჩარხის მოდ TRCC-1 ტექნიკური დოკუმენტაცია [1] შექმნილი იქნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; რომლის საფუძველზეც მოხდა ჩარხის დამზადება, თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში, უკრაინის ქ. დნეპროპეტროვსკის მილების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით. ჩარხის ტექნიკური დოკუმენტაციის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს მიეკუთვნებოდა როტოსარანდავი თავის (მჭრელი იარაღის) რადიალური მიწოდების ამძრავის დაპროექტება [2]. როტაციული რანდვისთვის დამახასიათებელი თვისებურებების გაანალიზების გათვალისწინებით, რაც სრულფასოვნადაა განხილული სტატიაში.

ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოების მიხედვით შექმნილი კვანძის ტექნიკური დოკუმენტაციის ბაზაზე დამზადებული ამძრავი განთავსებულია ჩარხში TRCC-1 [4] და აკმაყოფილებს ჩარხის ტექნიკური დავალებით წაყენებულ ყველა მოთხოვნას, რაც დადასტურდა შემკვეთისგან ჩარხის მიღების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Рухадзе О. Г.** Технические условия Сп ТУ2-1007012-010-79 Терморото-строгального станка мод. TRCC-1. 30ст .
2. **Рухадзе О. Г.** Основы проектирования и исследования зотострогальных станков. Диссертация на соискание степени К.Т.Н. Тбилиси 1986 г. 174 стр.
3. Л.С. №766749 (СССР). Металлорежущий станок для обработки наружной поверхности тел вращения. Т. Н. Лоладзе **О. Б. Мгалоблишвили М. Г. Швандирадзе. О. Г. Рухадзе и др.**
4. **T. Loladze, O. Mgaloblishvili, M. Shvandiradze, V. Khomasuridze, O. Rukhadze.** United states Patent № 4.206.922 Jun.3 1980, Method for Machining Outer Surfaces of 1980, Method for Machining Outer Surfaces of Dodies of Reshington.
5. თ. რუხაძე მ. შვანგირაძე ე. რუხაძე როტოსარანდავი ჩარხების საიარაღო თავის დაპროექტების და კვლევის საფუძვლები. მასალების ჭრით დამუშავება. სამეც. შრომები №8(364), თბილისი 1990.

ОСНОВЫ ПРОЕКТИРОВАНИЯ ПРИВОДА РАДИАЛЬНЫХ ПОДАЧ РЕЖУЩЕГО ИНСТРУМЕНТА РОТОСТРОГАЛЬНОГО СТАНКА

О. Рухадзе, Е. Рухадзе

Резюме

Ротострогальный станок (мод. ТРСС-1) был изготовлен на Тбилисском станкостроительном заводе на базе тех. документации разработанное на Грузинском Техническом Университете. Одним из основных узлов станка является привод радиальных

подач режущего инструмента. В статье основательно обоснована правильность подхода к рассчётом и к проектированию привода, а результаты исследования являются подтверждением возможности создания принципиально нового варианта привода радиальных подач позволяющего осуществить врезание многозубьего инструмента большого диаметра (D_{max} 800мм) во вращающего заготовки по всей длину ($L=500\div600$ мм).

FUNDAMENTALS OF ROTOSTRAIGHTENING MACHINE'S CUTTING TOOL RADIAL INFEED DRIVE'S DESIGN

O. G. Rukhadze, E. O. Rukhadze

Abstract

In the article are given the features of straightening machine's (model TRCC-1) cutting tool radial infeed drive and way of its design solution. With taking into account that in current machine tool industry practically aren't supported feed drives that can to penetrate of 800 mm diameter by multi-teeth cutting tool on whole length of rotating workpiece ($L=500\div600$ mm).



შაპ 622.62

**ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგრადართვის
შეცვასშის შესახებ**

ვ. ხარიტონაშვილი, მ. ხვედელიძე

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ.77, 0175, თბილისი,
საქართველო)**

რეზიუმე: მოცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტესტირების ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნების ანალიზი. დასაბუთებულია ამ ტექნიკური რეგლამენტებით მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკმარისად უზრუნველყოფის შეუძლებლობა და მათი სრულყოფის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო საშუალება, ტექნიკური მდგომარეობა, ტესტირება.

შესავალი

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების (ას) საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება არის ტექნიკური ოპერაციებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც დაწესებული პერიოდულობით დგინდება ას საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა. ამ კანონის შესაბამისად მოქმედებს ას საშუალებათა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ხოლო ას საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და ტესტირების მეთოდები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება განისაზღვრება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით [1].

სატრანსპორტო ლოგისტიკურ ჯაჭვში ას საშუალების ტესტირება წარმოადგენს პირველ რგოლს, თუ ას საშუალებას არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების პროცედურები იგი უვარგისია ექსპლუატაციისათვის და შესაბამისად სატრანსპორტო პროცესის შესრულებისათვის. ექსპლუატაციაში მყოფი ას საშუალებების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა განაპირობებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მაღალ დონეს, მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ზიანს აყენებს გამონაბოლქვი მავნე აირებით გარემოს და განაპირობებს გადაზიდვის პროცესის დაბალ ეფექტიანობას.

ასეთი სიტუაცია განპირობებულია ას საშუალებებზე პერიოდული ტექნიკური კონტროლის სახელმწიფო მოქმედი სისტემის, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტების ნაკლოვანებებით.

პირითადი ნაშილი

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ ძრავას ზეთი წარმოადგენს არა მხოლოდ შემზეთ მასალას, არამედ სრულუფლებიან დეტალს, ძრავას კონსტრუქციის ელემენტს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე ზეთის კონსტრუქციის შექმნა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს [3-7].

მხოლოდ ტექნიკაზე წარმოდგენის არმქონე ადამიანს შეიძლება ეუცხოვოს სიტყვათა წყობა „ზეთის კონსტრუირება”, რადგან იგი ვარაუდობს, რომ კონსტრუირებული შეიძლება იქნეს მხოლოდ კოსმოსური ხომალდი ან ავტომობილი. მაგრამ სინამდვილეში ისე როგორც ნებისმიერი კონსტრუქციის აწყობა ხორციელდება მრავალი ელემენტისაგან, ასევე ზეთის კონსტრუირება იწყება საბაზო ზეთის შერჩევით და მისი კონსტრუქცია ხდება მრავალი ქიმიური ნივთიერებისა და ელემენტისაგან. ზეთი წარმოადგენს ძრავას კონსტრუქციის მნიშვნელოვან ელემენტს, მას შეუძლია ხანგრძლივად და საიმედოდ შეასრულოს თავისი ფუნქცია, უზრუნველყოს ძრავას დანიშნული რესურსი, მხოლოდ მისი თვისების შესაბამისობით იმ თერმიულ, მექანიკურ და ქიმიურ ზემოქმედებაზე, რომლებსაც ზეთი განიცდის ძრავას შეზეთვის სისტემაში. ანალოგიურად ტრანსმისიის აგრეგატებში ზეთი წარმოადგენს კონსტრუქციის განუყოფელ ელემენტს. ზეთის უნარი ხანგრძლივად შეასრულოს თავისი ფუნქცია, როგორც კონსტრუქციული მასალისა, განისაზღვრება მისი კონსტრუქციული თავისებურებებით, დანიშნულებითა და ძრავასა და ტრანსმისიის საექსპლუატაციო პირობებით. ამიტომ მოცემული კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებისათვის დამამზადებლის მიერ დადგენილია შესაბამისი თვისებების ზეთი.

სატრანსპორტო საშუალების მოხახუნე კონსტრუქციული ელემენტების წყვილებს შორის

შემაერთებელ ელემენტს წარმოადგენს ზეთი, ხოლო სამუხრუჭო სისტემაში – სამუხრუჭო სითხე, რომლებიც მიმდევრობით არიან ჩართული კინემატიკურ სქემაში. ისე როგორც მექანიკური ელემენტი, საექსპლუატაციო სითხე (ზეთი, სამუხრუჭო სითხე) კარგავს თვისებას (მცირდება მისი პარამეტრების მნიშვნელობა) და ხასიათდება საიმედოობის თეორიაში ცნობილი

პარამეტრული მტყუნებით. ამრიგად, ას საშუალების საიმედოობა, და შესაბამისად მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეგატებში, კვანძებში მოთავსებული საექსპლუატაციო სითხის თვისებებზე, ამიტომ იგი განიხილება როგორც კონსტრუქ-ციული ელემენტი.

ტექნიკური რეგლამენტის [1] მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად “ას საშუალების ტექნიკურად გამართული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ას საშუალების კონსტრუქციისა და ტექნიკური მდგომარეობის ყველა ნორმატიულ მოთხოვნას, ხოლო ამავე მუხლის 29-ე პუნქტით განსაზღვრულია ას საშუალების შემადგენელი ნაწილების (აგრეგატები, კვანძები და დეტალები), რომლებიც დაყენებულია და/ან გამოყენებულია ას საშუალების კონსტრუქციაში და მათ წაეყენებათ ნორმატიული დოკუმენტაციით რეგლამენტებული მოთხოვნები.

ტექნიკური რეგლამენტის “მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები” მე-3 მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად ას საშუალების კონსტრუქციის შეცვლა ნიშნავს ას საშუალების კონსტრუქციით გათვალისწინებული შემადგენელი ნაწილების გამორიცხვას და გაუთვალისწინებული მოწყობილობების დაყენებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს მისი უსაფრთხოების მახასიათებლებზე [2].

აღნიშნულ უსაფრთხოების მახასიათებლებზე კი არსებით გავლენას ახდენს ას საშუალების კონსტრუქციაში არსებული ელემენტები - მუშა სითხეები. ას საშუალების კონსტრუქციაში გაუთვალისწინებული ზეთის გამოყენება ზრდის ძრავასა და ტრანსმისიის აგრეგატებში ხახუნის წინააღმდეგობას და შესაბამისად ამცირებს მის დინამიკურ მახასიათებლებს (გორვის წინააღმდეგობა), ხოლო ეკოლოგიურ მახასიათებლებს (საწვავის ხარჯი და გამონაბოლქვა აირებში მავნე ნივთიერებები) კი აუარსებს.

აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როცა ას საშუალების კონსტრუქციის აგრეგატებში გამოყენებული საექსპლუატაციო სითხეები არ შეესაბამება დამამზადებლის მიერ დადგენილს, ას საშუალება უნდა ჩაითვალოს ტექნიკურად გაუმართავად და მისი ექსპლუატაცია დაუშვებელია.

ტექნიკური რეგლამენტის “მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები”-ს მე-3 მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად კი სატრანსპორტო საშუალების ელემენტებში იგულისხმება აგრეგატები, კვანძები, სისტემები, დეტალები და მოწყობილობები, რომლებიც სატრანსპორტო

საშუალების დამამზადებლის მიერ არის გამოყენებული, ან/და ნებადართულია გამოსაყენებლად სრულად დაკომპლექტებული სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციაში. ტექნიკური რეგლამენტის [1] მე-4 მუხლის მე-12 პუნქტით სამუხრუჭო სითხის ტიპი უნდა შეესაბამებოდეს ას საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალების აგრეგატებში გამოყენებულია სატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ განსზაღვრული ელემენტებისაგან - სითხეებისაგან განსხვავებული მარკის ზეთი ან სამუხრუჭო სითხე, მაშინ სატრანსპორტო საშუალება აღმოჩნდება გადაკეთებული.

ტექნიკური რეგლამენტის [1] დანართი 3-ის 2.3 პუნქტის მიხედვით დიზელის ძრავაში გამონაბოლქვის კონტროლი უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ ძრავაში ზეთის ტემპერატურა წინასწარ უნდა გაიზომოს ზეთის დონის მაჩვენებლი საცეციო აღებული სინჯის ტემპერატურით, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 80°C , ან უნდა გაიზომოს ინფრაწითელი გამოსხივებით ძრავას ბლოკის ტემპერატურა, რომელიც უნდა იყოს აგრეთვე არანაკლებ 80°C , ან ძრავას ნორმალური მუშა ტემპერატურა უნდა განისაზღვროს გამაგრილებელი ვენტილატორის მუშაობით. მაგრამ როგორ უნდა გაიზომოს საცეციო აღებული სინჯით ზეთის ტემპერატურა, როცა საცეციზე ზეთის სინჯის ტემპერატურა ყოველთვის მნიშვნელოვნად იქნება დაბალი ვიდრე ზეთის კატერში, ან როგორ უნდა გაიზომოს ძრავას ბლოკის ტემპერატურის მიხედვით, ან გამაგრილებელი ვენტილატორის მუშაობით ძრავას კარტერში ზეთის ტემპერატურა არ არის მითითებული აღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტებში, ხოლო ტესტირების ცენტრების პერსონალისათვის არ არის ცნობილი გაზომვების შესაბამისი მეთოდები და მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები. აღნიშნული გაზომვების განხორციელება მოითხოვს ცალკე კვლევის შედეგების მიხედვით შესაბამისი მეთოდების დამუშავებას. აქედან გამომდინარე, სირთულეს არ წარმოადგენს გაკეთდეს დასკვნა იმაზე, რომ ქვეყანაში მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხილული მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას და აუცილებელია მათი სრულყოფა.

დასკვნა

მოცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტესტირების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის ანალიზი. დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხილული მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები სრულად ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას და აუცილებელია მათი სრულყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 19.08.2011 წ. №1-1/1569 ბრძანება. ტექნიკური რეგლამენტი “ავტოსატრანსპორტო საშუალებებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და ტესტირების მეთოდები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება”.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 19.08.2011 წ. №1-1/1567 ბრძანება. ტექნიკური რეგლამენტი “მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები”.

3. **Ю. Буцкий.** Масло в моторе. Вязкотекучая деталь. АБС-АВТО / март 2011.

<http://www.ab-engine.ru/smi/03-2011maslo-1.pdf>

4. Моторные масла. Материал из Википедии — свободной энциклопедии.

<http://ru.wikipedia.org/wiki/>

5. Трансмиссионные масла. <http://tavot-spb.ru/transmissionnye-masla>

6. თ. აფაქიძე, ჯ. იოსებიძე და სხვ. ავტომობილების ეკონომიკურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზეთების საშუალებით ამაღლების გზები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 1996, 77 გვ.

7. ვ. ხარითონაშვილი. საავტომობილო ტრანსპორტი და ეკოლოგიური უსაფრთხოება. უნივერსალი. თბილისი, 2006, 132 გვ.

ОБ ОЦЕНКЕ ТЕХНИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ АВТОТРАНСПОРТНОГО СРЕДСТВА

В. Харитонашвили, М. Хведелидзе

Резюме

Дан анализ технических требований предъявляемых автотранспортным средствам по техническим регламентам об обязательном их периодическом тестировании. Обоснованы невозможность технических регламентов полностью выполнять свой функции по обеспечению безопасности движения и экологической безопасности и необходимость их усовершенствования.

ABOUT AN ESTIMATION OF A TECHNICAL CONDITION OF THE VEHICLE

V. Kharitonashvili, M. Khvedelidze

Summary

The analysis of technical requirements shown to vehicles under technical regulations about their obligatory periodic testing is given. Are proved impossibility of technical regulations completely to carry out the functions on safety of movement and ecological safety and necessity of their improvement.

უაკ 622.62

ექსპორტ-იმპორტის საბაზო რეზიგის განვითარების

სრულყოფის გზები

რ. ქერდიშვილი, გ. მაისურაძე

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ.77, 0175, თბილისი,
საქართველო)**

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაზო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საქართველოს პარტნიორები არიან უმეტესად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყანები და შესაბამისად, მათთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე. ექსპორტ-იმპორტის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით საქართველო ჯერჯერობით კვლავ წარმოდგენს გასაღების ბაზარს, რომლის გამოსასწორებლად საჭიროა უფრო მეტად განვითარდეს ექსპორტი, რომელიც იქნება გარანტი ქვეყნის კონიმიკის შემდგომი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საბაზო, ექსპორტი, იმპორტი, ბაზარი, საქონელბრუნვა.,

შესავალი

საქართველოს საბაზრო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად რომ გაჯერდეს, აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისი ცვალებადი მოცულობით) როგორიცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე და მათი პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქცია, ცხიმეული, აგრეთვე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო კონიუქტურის შესაბამისი სახვადასხვა კვების მრეწველობის პროდუქტები, რომელიც ეტაპების მიხედვით სახეშეცვლილი მოცულობითა და პროპორციებით იქნება შემოტანილი.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტისა რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების აქტიური გამოყენებით, სწორი სამერკიტენგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის სწორად წარმართვაში, გადამწყვეტი როლი ექსპორტ-იმპორტის საბაჟო რეჟიმებს უკავიათ. საგარეო ვაჭრობის განზოგადოებულ მახასიათებელს წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ბალანსი, რომლის უარყოფითი სალდო (იმპორტის ნამეტი ექსპორტზე) შეადგენს ბრუნვის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტში ძირითადი და წამყვანი ადგილი განეკუთვნება ნედლეულსა და მასალებს, ხოლო იმპორტში - სამშენებლო მასალებს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, შეუძლია გააკეთოს, სტრატეგიული და ეკონომიკურად რამდენიმე მომგებიანი სვლა, რაც რადიკალურად შეცვლის და აამაღლებს მის ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში და განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. ეს კი გლობალიზაციის პროცესში მეტნაკლებად საკმარისი იქნება საკუთარი ხელწერის შესაქმნელად და ექსპორტის გავლენის სფეროების მოსაპოვებლად. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები აისახება საგარო ვაჭრობაში, რომლის ბრუნვა წლების განმავლობაში იცვლება. აღნიშნული ცვლილება ექსპორტისა და იმპორტის ხაზით ატარებდა საკმაოდ არასასურველ ხასიათს, რაზეც ნათლად მეტყველებს ცხრილში (ცხრილი 1) მოყვანილი რაოდენობრივი და შეფარდებითი მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღნიშნული მონაცემები აშვარად მეტყველებენ შექმნილ მდგომარეობაზე და იმავდროულად მიანიშნებენ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარების აუცილებლობაზე. აღნიშნული მონაცემების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებენ საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფით მხარეს, რადგან ასახავს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ რეგისტრირებულ მაჩვენებლებს, რომელიც სინამდვილეში გაცილებით ნაკლებია რეალურად არსებულთან შედარებით. ოფიციალურად აღრიცხულსა და ფაქტობრივად არსებულს შორის სხვაობა კი უნდა განვიხილოთ, როგორც კონტრაბანდული საქონლის რაოდენობას დამატებული იმ საქონლის ღირებულების ნაწილი, რომელიც შეგნებულად შემცირებული საბაჟო ფასების მიხედით არის რეგისტრირებული. ეს კი თავის მხრივ იწვევს სააქციზო და დამატებული ღირებულების გადასახადების მოცულობის შესაბამის შემცირებას, რომლის უარყოფითი გავლენა ქვეყნის საბიუჯეტო-საფინანსო მდგომარეობაზე ყველასათვის ნათელია.

ცხრილი 1.

**საქართველოს ექსპორტ-იმპორტის განზოგადებული მაჩვენებლები
(მოქმედ ფასებში; ათასი აშშ დოლარი)**

	2005წ	2006წ	2007წ	2008წ	2009წ	2010წ
ექსპორტი	865454	936172	1232371	1496060	1133622	1583400
იმპორტი	2489953	3677745	5214883	6304557	4366106	5095100
სალდო	-1624499	-2741573	-3982512	-4808497	-3232483	-3510700
ბრუნვა	3355407	4613917	6447254	7800618	5499728	6678500

საქონლის რეგისტრაცია დაბალი ფასების მიხედვით ფართოდ არის ფესვგადგმული ექსპორტის რეჟიმის პირობებშიც. ასეთ შემთხვევაში საქონელი საზღვარგარეთ იყიდება რეალური ფასის მიხედვით, ხოლო მათ შორის სხვობა ნაწილდება კომბინაციის მონაწილეთა შორის. საგარეო ვაჭრობის უარყოფით ბალანსზე, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად მოქმედებს ობიექტური ფაქტორებიც. კერძოდ, ქვეყნის შიგნით იმპორტულ საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა, ექსპორტის ზრდისთვის საჭირო რესტრუქტურიზაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ძირითადი ადგილი განეკუთვნებათ ევროკავშირისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს (დსთ). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მონაცემებით, 2003-2008 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა საშუალო წლიური ზრდის მაღალი ტემპით - 39,5%-ით ხასიათდებოდა. მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 29,5%-ით შემცირდა. თუმცა, 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 21,4%-ით გაიზარდა და 6,678,5 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი 2010 წლის განმავლობაში ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა და შესაბამისად, წლის ბოლოს 39,7%-იანი ზრდა დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ექსპორტის მოცულობამ 1,583,4 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის რეკორდულ მაჩვენებელს 6%-ით აღემატება (ცხრილი2); იმპორტმა 2010 წელს 5,095,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ზრდის ტემპი 16,7%-ით განისაზღვრა. სავაჭრო ბალანსმა -3510,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა აღსანიშნავია ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა მთლიან ბრუნვაში. გასულ წელთან შედარებით იგი 3.1 ერთეულით გაიზარდა და 23,7% შეადგინა.

ცხრილი 2.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით 2010წელს.

ქვეყნების დასახელება	ბრუნვა ათასი აშშ\$	ექსპორტი ათასი აშშ\$	იმპორტია თასი აშშ\$	სალდო
1	2	3	4	5
სულ	6678469.80	1583397.00	5095072.80	-3511675.80
მათ შორის				
ევროკავშირის ქვეყნები სულ	1735933.70	296612.40	1439321.30	-1142708.90
გერმანია	361780.5	31762.0	330018.5	-298256
ბულგარეთი	193829	62105.9	131723.1	-69617.2
იტალია	157127	23376.2	133750.8	-110374.6
დსტს ქვეყნები	2195400.90	644484.8	1550916.10	-906431.30
აზერბაიჯანი	708101.8	243989.3	464112.5	-220123.2
რუსეთი	313971.2	34298.3	279672.9	-245374.6
დანარჩენი ქვეყნები	2747135.2	642299.8	2104835.4	-1462535.6
თურქეთი	1104694	216049.4	888644.6	-672595.2
ჩინეთი	358569.1	24250.5	334318.6	-310068.2

2010 წელს საგარო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან, 2009 წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა, 1,736 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა. 2010 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსტ-ს ქვეყნებთან, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31%-ით გაიზარდა, 2,195 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და სავაჭრო ბრუნვის 33% დაიკავა. ევროკავშირისა და დსტ-ს ქვეყნების გარდა, სხვა დანარჩენ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, 12%-ით გაიზარდა და 2,747 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. ამ ქვეყნების ხვედრითი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 41%-ს შეადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ დსტ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსი უარყოფითი სახით არის წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით არასასურველ ხასიათს ატარებს ევროკავშირის ქვეყნებთან, სადაც ექსპორტის წილი ექსპორტ-იმპორტის ჯამურ მაჩვენებელში ძალიან დაბალია. გამოდის, რომ ევროკავშირისათვის საქართველო წარმოადგენს გასაღების ბაზარსა და არა თანაბარულებიან პარტნიორ ქვეყანას. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმებულ ელფერს შეიძენს, თუ მხედველობაში მივიღებთ ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურას, სახელდობრ, ექსპორტში სანედლეულო მასალის უპირატესობას, ხოლო იმპორტში - კვების პროდუქტებისახით წარმოდგენილ მზა ნაწარმს. ამგვარ სტრუქტურას თან ახლავს, რა თქმა უნდა თავისი უარყოფითი მხარეები.

ექსპორტის პერსპექტიული განვითარების ერთ-ერთ გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია ექსპორტის სადაზღვევო სისტემის განუხრელი სრულყოა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება და მასთან დაკავშირებით საბაჟო ტარიფების საშუალო დონის თანდათანობით შემცირება გამოიწვევს იმპორტის ზრდას და საბაჟო გადასახადების საშუალო დონის შემცირებას, რაც ქმნის მისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, ამ მოვლენას თან ახლავს მრავალი დადებითი მხარე. კერძოდ, იგი ხელს შეუწყობს საქართველოს აქტიურად ჩართვას მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში და მას მიეცემა საგარეო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა. ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტუნარიანი სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტის გადასახადი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად (28-ე თავი). ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლდა საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე აქედან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი აღარ იბეგრება. ამასთანავე საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზიები, კვოტირება, აკრძალვები და სხვა), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ახასიათებს ხარვეზები, რომელთა წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ღონისძიებათა გატარებას. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაჟო ორგანოების ნორმალური საქმიანობა. ცნობილია იმ უარყოფითი ზეგავლენის შესახებ, რასაც წარმოშობს კონტრაბანდა. ქვეყნის საბაჟო საზღვრების გვერდის ავლით საქონლის ექსპორტ-იმპორტთან ერთად, ხანდახან ხდება საბაჟოზე ნაწილობრივ აღურიცხავი საქონლის გატარებისა და მისი საბაჟო ფასის შეგნებულად შემცირების შემთხვევები. ყოველივე ეს კი მძიმეტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას, ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საბაჟო გადასახდელების დონეს. ამდენად საბაჟო საქმის სრულყოფა უშუალოდ უკავშირდება საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის საკითხებს. ამასთან, დროის მოთხოვნა ხდება, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ეყრდნობოდეს ასევე ახლებურ და პროგრესულ მეთოდოლოგიურ და ინფორმაციული ტექნოლოგიის მთელ არსენალს, რომელიც მთლიან მოდელურ წრედში აუცილებლად

უნდა მოიცავდეს მასშტაბურ ეკონომიკურ გადაწყვეტებს, რამაც უტყუარი, საყრდენი ბაზა უნდა შექმნას ქვეყნის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბ., 2011წ.
2. გ.ურიდია, ფ. რუხაია. საბაჟო საქმის თეორია.თბ., 2009წ.
3. www.economy.ge
4. www.mof.ge

ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ РАЗВИТИЯ ТАМОЖЕННОГО РЕЖИМА ЭКСПОРТ-ИМПОРТА

Р. Кердишвили, Г. Maisuradze

Резюме

В статье рассмотрена существующая в Грузии либеральная торговая политика, что предусматривает упрощённый режим внешней торговли и таможенных процедур. низкие таможенные тарифы и минимальное нетарифное регулирование. Партнёрами Грузии являются в основном страны-члены всемирной торговой организации, и соответственно торговые взаимоотношения с ними выполняются на основе режима наибольшего благоприятствования. На основе анализа данных экспорт-импорта Грузия всё ещё представляет рынок потребления, для исправления чего необходимо ещё большее развитие экспорт, что будет гарантлом для дальнейшего развития экономики страны.

WAYS OF DEVELOPMENT OF EXPOTH-IMPORT CUSTOM MODE

R. Kerdishvili, G. Maisuradze

Abstract

In the article is considered current liberal trade policy of Georgia that provides simplified mode of foresight trade and custom procedures, low custom tariffs and minimal non-tariff regulation. Partners of Georgia are mainly member states of World Trade Organization and accordingly the trade interrelations with them are carried out on the basis of most favorable treatment. On the basis of analysis of export-import Georgia still presents consumption market or that's correction is necessary further development of export that would be as garantue of further development of economics of country.

უაპ 629.113.04

**ავტომობილის ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის
დიფერენცირებისმეთოდის დამუშავება**

დ. უგულავა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,

მ. კოსტავის ქ. №77. საქართველო)

რეზიუმე: დამუშავებულია ავტომობილების ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის განსაზღვრისა და გარენის მიხედვით მისი ცვლილების ძეთოდი.ძეთოდს საფუძლად უდევს საექსპლუატაციო პირობებში მტყუნებებისა და უწესრიგობების აღმოფხვრის ძოცდენის დრო, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ავტომობილის საიმედოობის მაჩვენებლებზე და მაშასადამე მისი შენარჩუნებისთვის საჭირო საექსპლუატაციო ხარჯებზე. ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის დიფერენცირებული მნიშვნელობები პირდაპირ კავშირშია ავტომობილის მწარმოებლობასთან. ამიტომ ეფუძნებოდის პოზიციებითან გამომდინარე აუცილებელი და საკმარისია ავტომობილების გარენების განსაზღვრა მათი „ხნოვანების“ მიხედვით, დაჯგუფებადა შესაბამისი ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტების ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა. ამ ნორმატივების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის ავტომობილის ეფექტურობის და მისი გამოყენების დონეს.

საკვანძო სიტყვები: ავტომობილი, ეფექტურობა, საიმედოობა, ტექნიკურად მზადყოფნისკოეფიციენტი, კუთრი ხარჯები, გარბენა, მოცდენა.

შესავალი


ავტომობილების ეფექტური გამოყენების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული მოცდენების შემცირება, იგი პირველ რიგში დამოკიდებულია საიმედოობის მაჩვენებელზე, კერძოდ მტყუნებათა ნაკადის პარმეტრზე, რომელიც საექსპლუატაციო პირობებისა

და მუშაობის რეჟიმის მიხედვით იცვლება და ზრდადი ფუნქციაა. გარბენის ზრდასთან ერთად იზრდება მტყუნებებისა და უწესივრობების წარმოქმნის სიხშირე. ეს იწვევს ავტომობილის მოცდენას მათ აღმოფხვრაზე. მოცდენის სიდიდე დამოკიდებულია მტყუნების სიხშირეზე და ხასათზე (კონსტრუქტიული ელემენტის შეცვლა, სარეგულებელიპარამეტრი და ა.შ), აგრეთვე მათი აღმოფხვრის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსზე რაც მეტია ასეთი მტყუნებები და უწესივრობები ბუნებრივია მეტი იქნება ავტომობილის მწარმოებლურობა ე.ი. მისი გამოყენების ეფექტურობა.

მისი შეფასებისა და ანალიზისათვის გამოიყენება სტანდარტით[1] განსაზღვრული ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი α_0 , იგი არის ალბათობა იმისა რომ ავტომობილი, გარდა გეგმით გათვალიწინებული მოცდენისა დროის ნებისმიერი მომენტისათვის აღმოჩნდება მუშაობის უნარის მქონე, მაშასადამე, იგი წარმოადგენს ავტომობილის მუშა მდგომარეობაში ყოფნის დროის შეფარდებას ამ დროსა და მტყუნებათა აღმოფხვრაზე დახარჯული დროის ჯამთან. ტექნიკურ მომსახურებებს შორის პერიოდში ეს კოეფიციენტი ახასიათებს მათი შესრულების ხარისხს—ეფექტურობას უწყვეტი მუშაობის პოზიციებიდან, მაშასადამე იგი უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მაჩვენებლის დამატებითი მახასიათებლითა.

პირითადი ნაშილი

ავლნიშნეთ, რომ ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი იცვლება(მცირდება) ავტომობილის გარბენასთან ერთად, იმის გამო, რომ იზრდება მტყუნებათა ნაკადისპარამეტრი- $\omega(L)$ და მაშასადამე იზრდება მოთხოვნები ტექნიკურ ზემოქმედებაზე და შესაბამისად მოცდენებიც. მოღელირების ამოცანას წარმოადგენს გამოიძენის ურთიერთცვლილების კანონზომიერების მახასიათებლები $\omega(L)$ და α_0 -ს შორის გარბენის ინტერგალების მიხედვით. 1-ელ ნახაზზე მოცემულია ალნიშნული სიდიდეების ცვლილების ამსახველი თეორიული მრუდები როგორც ნახაზიდან ჩანს, საგარანტიო გარბენის პირობებში— L საგ., მტყუნებათა ნაკადის პარამეტრი $\omega(L)=0$ და მზადყოფნის კოეფიციენტი $\alpha_0=1$, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის მტყუნებას ადგილი არ უნდა ქონდეს (რეკლამაციური მტყუნება მზედველობაში არ მიიღება) და არც მოცდება ავტომობილი, გარდა გეგმური ტექნიკური მომსახურების მოცდენისა, რომელიც შეიძლება შესრულდეს ავტომობილისათვის არა სამუშაო დროს.



ნახ. 1 მტყუნებათა ნაკადის პარამეტრის $w(L)$ -1 და ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის α_0 -2 -ის ცვლილება გარბენის მიხედვით.

ზემოთ მოცემულ ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის განსაზღვრის საანგარიშო გამოსახულებას შემდეგი სახე ეწება [4]

$$\alpha_0 = \frac{1}{1 + T_{\text{მოც}} \cdot L_{\text{დღ}}} \quad (1)$$

სადაც, $L_{\text{დღ}}$ არის ავტომობილის დღიური გარბენა;

$T_{\text{მოც}}$ – ტექნიკურ ზემოქმედებაზე (ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე რემონტი) კუთრი მოცდენა დღე/1000 კმ

კუთრი მოცდენა $T_{\text{მოც}}$ შედგება ორი კომპონენტისაგან. პირველია რეგულარული ტექნიკური მომსახურების შესრულებით გამოწვეულ მოცდენა, რომელიც მუდმივია და მაშასადამე α_0 -ზე გავლენას ვერ მოახდენს და მეორე კონპონენტი – მტყუნებების აღმოფხვრაზე გამოწვეული მოცდენები.

$$T_{\text{მოც}} = T_{\text{ტე}} + T_{\text{გრ}}$$

მტყუნების აღმოფხვრით გამოწვეული მოცდენა დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე, რომელიც საიმედოობის თეორიაში ცნობილია როგორც მუშაობის უნარის აღდგენის წამყვანი ფუნქცია $\Omega(L)$ მისი დადგენისა და განსაზღვრისათვის გამოყენებულია პრინციპები და მეთოდები რომლებიც მოიცავენ თეორიულ და პრაქტიკულ პოზიციებს. [1]

ავტომობილების ექსპლუატაციისათვის კონკრეტულ პირობებში საჭიროა მათი გარკვეული რაოდენობა სატრანსპორტო მუშაობის მოცულობის შესასრულებლად გარკვეული დროის განმავლობაში. ეს რაოდენობა დამოკიდებულია ავტომობილისმწარმოებლობაზე, რომელიც წარმოადგენს მრავალი ცვლადი ფაქტორის ფუნქციას, მაგრამ სატრანსპორტო პროცესის

ტექნოლოგიურობის პოზიციებიდან კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში აღნიშნული ფაქტორების გავლენა შეიძლება მივიღოდ მუდმივად. საკითხისადმი ასეთი მიღებობა გამართლებულია იმითაც, რომ სამედოობა განისაზღვრება არა ზოგადად, არამედ კონკრეტული საექსპლოატაციო პირობებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ავტომობილის მწარმოებლურობაზე საიმედოობის გავლენა განისაზღვრება იმულებითი მოცდენების სიდიდის ცვლილებით, რაც განპირობებულია ტექნიკური მდგომარეობის სასურველ დონეზე შენარჩუნებით და ავტომობილის მოძრაობის სიჩქარით, როგორც ნამუშევრის ფუნქცია.

ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული მოცდენები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომობილის მონაწილეობას სატრანსპორტო პროცესში გვაიძულებს დამატებითი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, რათა შესრულდეს გადაზიდვების მოცულობა იმავე პერიოდში. ეს გარემოება განპირობებულია საიმედოობის მაჩვენებლების მნიშვნელობებით მტყუნებათა აღმოფხვრის არსებული ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის პირობებში. ეს დაკავშირებულია დანახარჯებთან, რომელთა სიდიდე გამორიცხავს მის უგულებელყოფას.

მოცდენებით გამოწვეული დანაკარგები შეიძლება შეფასდეს დამატებითი ავტომობილების შეძენის ხარჯებით და მათი შენახვისა და ექსპლუატაციის ზედნადები ხარჯების დამატებით, ასეთი ავტომობილების რაოდენობა დამოკიდებულია ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტზე-ა_δ, რომელიც მცირდება გარბენის ზრდასთან ერთად. ამ პირობით ვლებულობთ. რომ

$$\alpha_{\delta}^{\beta}(L) = 1 - \alpha_{\delta}(L)$$

რეალურად, მხედველობაში მიიღება ტექნიკურად მზადყოფნით კოეფიციენტის მაქსიმალური α_{δ}^{\max} მნიშვნელობა და მაშასადამე მისი ნორმატიული სიდიდე იქნება:

$$\alpha_{\delta}^{\beta}(L) = \frac{1 - \alpha_{\delta}^{(L)}}{\alpha_{\delta}^{\max}} \quad (2)$$

თუ მივიგებთ მხედველობაში, რომ $C_{\delta\vartheta}(L) = \frac{C_{\vartheta\vartheta}}{L}$ გაშინ კუთრი დანაკარგები მოცდენების გამოიქნება:

$$C_{\delta\vartheta}(L) = C_{\vartheta\vartheta}(L) \cdot \alpha_{\delta}^{\beta}(L) = \frac{C_{\vartheta\vartheta}}{L} \left(1 - \frac{\alpha_{\delta}^{(L)}}{\alpha_{\delta}^{\max}}\right) \text{ლარი}/1000\text{კმ} \quad (3)$$

ხოლო, ჯამური დანაკარგები მთელი რესურსისათვის იქნება:

$$C_{\delta\vartheta} = C_{\vartheta\vartheta} \left(1 - \frac{\alpha_{\delta}^{(L)}}{\alpha_{\delta}^{\max}}\right) \quad (4)$$

მოცემული მოსაზრებიდან გამომდინარე ჯამური დანახარჯები მოცდენების სახით, მოცემული (1) გამოსახულებით შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$T_{\omega\partial} = \frac{1}{L_\omega} \sum_{i=1}^{\ell} t_i \Omega_i(L_\omega) + t_{\partial\omega\partial} \quad (5)$$

სადაც t_i არის მოცდენის ნორმა უწესრიგობის, მტყუნების აღმოფხვრაზე, სთ;

$\Omega(L_\omega)$ - სამედოობის წამყვანი ფუნქცია (მახასიათებელი, რომელიც მტყუნებათა რაოდენობას განსაზღვრავს). ეს გვაძლევს საშუალებას დავამყაროთ კავშირი სამედოობის მახასიათებელსა და მოცდენები შორის მოცემული გარბენის შემთხვევაში. ამ კავშირის გამოვლენისა და ანალიზისათვის საჭიროა გარბენის ზონებად დაყოფა, ეს აუცილებელია ორი მიზეზის გამო: პირველია ის, რომ საწყის ეტაპზე (საგარანტიო გარბენის შემდეგ) $C_{b\alpha\beta}$ იზრდება და L^α ფუნქციის კანონზომიერებით, ხოლო შემდეგ ზონაში $C_{b\alpha\beta} = \alpha_1 L + \dots + \alpha_5 L^5$ ფუნქციით.

ეს მიუთითებს იმაზე რომ ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი უნდა ვცვალოთ (შევამციროთ) მუდმივად, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ მიზანშეწონილია საგარანტიო გარბენის პერიოდში იგი ავილოთ მაქსიმალური – ერთან მიახლოებული, ვთქვათ 0,98 (რაც დასტურდება ავტომობილების ექსპლოატაციის პრაქტიკით). ხოლო შემდეგ ვცვალოთ გარბენის 30 ათასინი კმ-ით. ამასთან ერთად კონკრეტულ შემთხვევაში ექსპლოატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობაც დავყოთ შესაბამის ჯგუფებად ექსპლოატაციის დაწყებიდან საერთო გარბენის სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად:

I ჯგუფი A_1 - 0 დან $L_{b\alpha\beta} + 30$ ათასი კმ-მდე

II ჯგუფი A_2 -0 დან $L_{b\alpha\beta} + 230$ ათასი კმ-მდე

III ჯგუფი A_3 - 0 დან $L_{b\alpha\beta} + 330$ ათასი კმ-მდე

N ჯგუფი A_N 0-დან $L_{b\alpha\beta} + n \cdot 30$ ათასი კმ-მდე ასეთი დაჯგუფება განხორციელდება $L_{b\alpha\beta} + 200\ 000$ კმ-მდე, როდესაც ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი კლებულობს $\alpha_\beta = 0,90$ სიდიდემდე, თითოეული ჯგუფისათვის, რომელიც შეესაბამება ავტომობილის რესურს-0,5 L_6 ხოლო შემდეგი კლება უნდა განხორციელდეს 50 000 კმ-ის ინტერვალით და α_β -ს 0.02 –ის კლებადობით.

ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის შემცირება ეფექტურობის პოზიციებიდან [4] მიზანშეწონილია მხოლოდ $\alpha_\beta = 0.80$ სიდიდემდე როდესაც ავტომობილი უახლოვდება L_6 მაქსიმალურ მნიშვნელობას. ამ სიდიდის ქვევით მზადყოფნის კოეფიციენტის გამოყენება ავტომობილის მწარმოებლობაზე უარყოფიდად მოქმედებს და მაშასადამე ავტომობილის შემდგომი გამოყენებაც არამიზანშეწონილია.

ზემოთ მოცემული ჰიპოტეზის (პრაქტიკული დაკვირვებითა და ანალიზით) მიხედვით ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\alpha_{\mathcal{O}}^{bs} = \frac{A_1\alpha_{\mathcal{O}1} + A_2\alpha_{\mathcal{O}2} + \dots + A_n\alpha_{\mathcal{O}n}}{A_1 + A_2 + \dots + A_n} \quad (6)$$

გამოვიტანოთ ფრჩხილებს გარეთ $\alpha_{\mathcal{O}1}$ და გამოვიყენოთ ზემოთ მოყვანილი დამოკიდებულებები კლებადობის მიხედვით დაგვექნება:

$$\alpha_{\mathcal{O}}^{bs} = \frac{\alpha_{\mathcal{O}1}(A_1 + A_2\alpha_{\mathcal{O}2} + \dots + A_n\alpha_{\mathcal{O}n})}{A_1 + A_2 + \dots + A_n} \quad (7)$$

ამოვხსნათ ეს განტოლება $\alpha_{\mathcal{O}1}$ -ის მიმართ(როგორც წესი $\alpha_{\mathcal{O}}^{bs}$ მოცემულია) და გვექნება:

$$\alpha_{\mathcal{O}1} = \alpha_{\mathcal{O}}^{bs} \cdot \frac{A_1 + A_2 + \dots + A_n}{A_1 + A_2\alpha_{\mathcal{O}2} + \dots + A_n\alpha_{\mathcal{O}n}} \quad (8)$$

გვეცოდინება რა ავტომობილების საგეგმო გარბენები, $L_{\text{აშ}} \text{ შეგვიძლია განვსაზღვროთ იგივე გარბენები თითოეული ჯგუფისათვის}$

$$L_{\partial\partial i} = L_{\partial\partial} \frac{\alpha_{\mathcal{O}i}}{\alpha_{\mathcal{O}}^{bs}} \quad (9)$$

როგორც ცნობილია გარბენები იგივე ავტომობილის მწარმოებლურობის განმსაზღვრელია და მაშასადამე ეფექტურობის პოზიციებიდან დასმული ამოცანაც ამოხსნილია.

დასკვნა

ავტომობილების ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის განსაზღვრისა და გარბენების მიხედვით მისი დანაწილება საშუალებას იძლევა ეფექტურობის პოზიციებიდან გამომდინარე სატრანსპორტო საშუალებათა მწარმოებლურობა დაიგეგმოს რეალურ საექსპლოატაციო პირობებში მათი ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის დაწყებიდან გარბენების მიხედვით. დამუშავებული მეთოდის პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს საექსპლოატაციო ხარჯებს და შესაბამისად გადაზედვების თვითღირებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Стандарт ГОСТ 13377-75. Надежность в технике, термины. М. 1975

2. **В. Козлов, И. Ушаков.** Справочник по расчету надежности. М. ``Советское радио`` 1977 г.
3. **А.М.Шеинин.** Принципы управления надежностью машин в эксплуатации, выпуск 2, М. издательство ``знание`` 1977 ст.43
4. **3. ლეკიაშვილი.** ავტომობილის საიმუდოობა. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, გვ. 92.

РАЗРАБОТКА МЕТОДА ДИФФЕРЕНЦИРОВАНИЯ КОЕФФИЦИЕНТА ТЕХНИЧЕСКОЙ

ГOTOBNOStI AVTOMObILIЯ

Д. Угулава

Резюме

Разработан метод дифференцирования коэффициента технической готовности автомобиля по интервалам пробега. Моделирование оптимизации простоев по устраниении отказов и неисправностей дает возможность определения пробегов автомобилей, что влияет на производительность. Правильное их планирование значительно сокращает эксплуатационные расходы на поддержанные надежности.


DEVELOPMENT OF A METHOD OF DIFFERENTIATION COEFFICIENT OF TECHNICAL

READINESS OF THE VEHICLE

D. Ugulava

Resume

Developed a method for differentiating Coefficient of technical readiness of the vehicle at intervals of run. Simulation optimization by eliminating downtime of failures and faults allows the definition ranges of cars, which affects performance. Proper planning their much Reduces operating costs to maintain reliability.



უაპ: 338.47: 656.2

**საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის
გაუმჯობესების გზები**

დ. ჯაფარიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი
საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზები. განხილულია თბილისის შემოვლითი გზის და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტები. ჩამოყალიბებულია პროექტების სხვადასხვა აღტერნატიული საკითხები, მათი დადგებითი და უაყოფითი მხარეები. მითითებულია ნორმალური განვთრებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები.

საკვანძო სირყვები: საქართველოს რკინიგზა, რკინიგზა, გადაზიდვის მაჩვენებლები, გადაზიდვის დანახარჯები.


შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე გადის შუა აზის დასავლეთთან დამაკავშირებელი სამი სატრნზიტო ხაზიდან ერთ-ერთი – ყველაზე უმოკლესი. რამდენადაც შუა აზის სახელმწიფოები ნახშირბადოვანი ორგანული ნაერთების დიდი მარაგით გამოირჩევიან და მათი ეკონომიკურ დაჩქარებულად ვითარდება, ნავთობის მოპოვების საპროგნოზო მაჩვენებლებიც მკვეთრად იზრდება. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია ამიერკავკასიის სატრანზიტო რეგიონში ტვირთბრუნვის მოცულობის მკვეთრი ზრდა, რაშიც წამყვანი პოზიცია საქართველოს რკინიგზას უჭირავს. შპს „საქართველოს რკინიგზაშ“ 2010 წელს გადაზიდა 19.9 მლ-ნი ტონა ტვირთი, მათ შორის ნავთობი

და ნავთობპროდუქტები 11.4 მლ-ნი ტონა, მშრალი ტვირთები 8.5 მლ-ნი ტონა. შემოსავალმა შეადგინა 354.6 მლ-ნი ლარი.

ძირითადი ნაცილი

საქართველოს რკინიგზის საერთო სქემა მოცემულია ნახ. 1-ზე. ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ რკინიგზა გაივლის ისეთ დიდ ქალაქებს როგორებიცაა, რუსთავი, თბილისი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ქობულეთი, ბათუმი, ფოთი. ამ ქალაქებში რკინიგზების ხაზი უმეტესწილად ქალაქის ცენტრალურ ურბანულ ნაწილში მდებარეობს რაც, ერთის მხრივ სიჩქარის ერთ-ერთი შემაფერხებელია, ხოლო მეორეს მხრივ, ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. განსაკუთრებით კი ეს ითქმის ქალაქ თბილისზე, სადაც ქალაქში გამავალი გზის სიგრძე 25 კილომეტრამდეა. ამიტომაც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მიმართულება ქალაქ თბილისის რკინიგზის შემოვლითი გზის მშენებლობაა. ასეთი პროექტი საქართველოს რკინიგზაზე განხორცილების პროცესშია. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 27 კმ სიგრძის ახალი ორლიანდაგიანი ელექტროფიცირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, რომელიც არსებული ხაზს გამოეყოფა ზაპესთან, გაივლის ავჭალისა და გლდანის ტერიტორიებს, თბილისის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობს და შეუერთდება კახეთის არსებულ რკინიგზის ხაზს სადგურ ლილოსთან. გათვალისწინებულია კახეთის არსებული რკინიგზის ხაზის 10 კმ-იანი მონაკვეთის ლილოსთან შეერთების წერტილიდან თბილისის მიართულებით – გადაკეთდება ახალ სარკინიგზო ხაზად არსებული ხაზის



ნახაზი 1. საქართველოს რკინიგზის სქემა

რეაბილიტაციისა და ახალი ხაზის დამატების გზით. შეიძლებოდა თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობა სხვა აღტერნატიული მიმართულებებით . ასეთ მარშრუტებად წარმოგვიდგენია რამდენიმე აღტერნატივა:¹

- აღტერნატივა1—“ქალაქის გვირაბი”: რომელიც ითვალისწინებს სადგურ “დიდუბიდან” სადგურ “ნავთლუდამდე” გვირაბის საშვალებით დაკავშირებას. მაგრამ ეს აღტერნატივა უსაფრთხოების გამო (სახიფათო ტვირთების მოძრაობა ქალაქის ცენტრალური ნაწილის ქვეშ) არაა გამართლებული, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ორლიანდაგიანი გზის მშენებლობა და მანძილიც შედარებით მოკლე იქნებოდა;
- აღტერნატივა2— “თბილისის ზღვა”. ამ აღტერნატივის მიხედვით, რკინიგზის შემოვლითი მონაკვეთის უდიდესი ნაწილი გაივლის “თბილისი ზღვის” ჩრდილო-დასავლეთ ნაპირთან უახლოეს 50 მეტრის ფარგლებში. გარემოს დაცვითი რისკები- ამ აღტერნატივის უარყოფითი მახასიათებელია, თუმცა მაძილი აქაც შედარებით მოკლეა;
- აღტერნატივა3- ”ჩრდილოეთი - 18 ქანობით”: ეს არის ყველაზე გრძელი აღტერნატიული მარშუტი, რომელიც ჩრდილოეთიდან უვლის ზაპესის დასახლებას, გაივლის სოფელ ნორიოს სამხრეთ ნაწილს, სოფელ ნორიოდან ლიჭინის ხევის მარცხენა ნაპირს, ხევის პარალელურად ეშვება სამხრეთისაკენ და შეუერთდება ბაქო-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთს სოფელ ყარაჯალასთან. აღნიშნული მარშრუტი მიგვაჩნია ყველაზე ოპტიმალურად. მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვებთან შედარებით ძვირადღირებულია;
- აღტერნატივა4-“ცენტრალური 18 ქანობით”: ამ მარშრუტში შემოვლითი რკინიგზა უვლის ზაპესის დასახელბას ჩრდილოეთიდან, კვეთს სოფელ გლდანს, აგრეთვე გლდანის ტბის აღმოავლეთით მდებარე ხევმარას ხოებას, უვლის ჩრდილოეთიდან “თბილისის ზღვას”, შემდეგ უხვევს პატარა ლილოდან აღმოსავლეთისკენ და კვეთს ზედა სამგორის არხს. ლილოს დასახლებასთან მარშრუტი უერთდება რკინიგზის ხაზს. ამ აღტერნატივისთვის შესაძლებელია ორი სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ იგი “ცენტრალურ მარშუტთან” (მიღებულ ვარიანტთან) შედარებით უფრო გრძელი იქნება;


სამუშაოების ძირითადი ნაწილი მოიცავს ლიანდაგებს, შენობებს და მოწყობილობებს შემდეგი მიმართულებით:

- რკინიგზა – I კატეგორია;
- ლიანდაგის სიგანე – 1520 მმ;
- სარკინიგზო ხაზი – ახალი რკინაბეჭიონის შპალებით და ღ-65 ტიპის რელისებით;
- ელექტრო მომარაგება და წევა – ელექტროფიცირებული 3.3 კტ. მუდმივი დენით;


- ქანობი – 18 %;
- მატარებლის წონა – 3000 ტონა დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე და 3500 ტონა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე;
- ნაგებობები – სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები, საწყობები, სადგურები, შენობები მომუშავე პერსონალისათვის;
- ხელოვნური ნაგებობები – გვირაბები ზიდები და ა.შ.;

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიერ გაყოფილი ქალაქის ნაწილების ინტეგრირებას, მნიშვნელოვნად შემცირდება რკინიგზის ფუნქციონირებით გამოწვეულ ეკოლოგიურ პრობლემები და განტვირთავს ქალაქს რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობისაგან. ახალი შემოვლითი რკინიგზის მშენებლობით საქართველოს რკინიგზა გააუმჯობესებს უსაფრთხოებას და რკინიგზის მუშაობის ეფექტურობას.²

თბილისის ცენტრალური სადგური გაუქმდება, ხოლო “დიდუბისა” და “ნავთლულის” სადგურებს რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ. სადგური “ნავთლული” მოემსახურება აღმოსავლეთის მიმართულების მგზავრებს, ხოლო სადგური “დიდუბე” – დასავლეთ მიმართულების მგზავრებს. ნახ 2-ზე გამოსახულია თბილისის შემოვლითი გზის სქემა.



ნახაზი 2 თბილისის შემოვლითი გზის სქემა.



ნახაზი 3. მარაბდა ახალქალაქის რეინიგზის სქემა

ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით ასევე მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომლის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო და იგი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა – ახალქალაქის 178 კილომეტრიანი სარკინიგზო ზაზის რეაბილიტაცია-რეკონსტუქციას, ახალი სარკინიგზო ზაზის მშენებლობა სადგურ ახალქალაქიდან სადგურ ყარსამდე საერთო სიგრძით 98 კმ. საიდანაც საქართველოს მხარეს არის 30-კილომეტრიანი სარკინიგზო მაისტრალი ახალქალაქი – კარწახის (თურქეთის საზღვარი) მიმართულებით, ხოლო თურქეთის მხარესაა კარწახიდან ყარსამდე 68 კმ სიგრძის მონაკვეთი. მარაბდა ახალქალაქის რეინიგზის სქემა მოცემულია ნახ 3-ზე.

ცხრილი 1

გადაზიდვის სიცარეები¹

1	მიმართულება		გარდაბანი - ბათუმი - ფოთი
2	მატარებლების რაოდენობა		224
3	სვლის დრო (გრაფიკით საშუალო)		11.49
4	სამარშრუტო სიჩქარე	გრაფიკული სიჩქარე(კმ/სთ)	30.88
		ფაქტური სიჩქარე (კმ/სთ)	22.39
5	შესრულების %		72.51

ნახაზიდან 3-დან ჩანს მონაკვეთის რთული რელიეფური მახასიათებლები, ამიტომ ინფრასტრუქტურა ისე უნდა განვითარდეს, რომ მოძრაობის სიჩქარე გაიზარდოს მკვეთრად და უზრუნველყოფილი

¹ შ.კ.ს. „საქართველოს რეინიგზის“ მონაცენები.

იქნას ტვითებისა და მგზავრთა უსაფრთხოება. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ტექნიკურ კრიტერიუმებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფრასტრუქტურის არასწორი განვითარება, რაც შემდგომში ხელს შეუშლის ტვირის გამტარუნარიანობს ზრდას.

თანამედროვე პირობებში საქართველოს რკინიგზის შემოსავლები შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადაზიდული ტვირთებიდან და გადაყვანილი მგზავრებიდან მიღებული შემოსავლების ერთობლიობა. მთლიანი გადაზიდული ტვირთის რაოდენობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ტრანზიტით გადაზიდულ ტვირთს. შემოსავლის ცვლილება პირდაპირ კავშირშია გადაზიდვის საშვალო მანძილთან. ტვირთების მოზიდვის ერთ-ერთ შემაფერხებელს ტვირთების გადაზიდვის დიდი ხანგძლივობა წარმოადგენს. ტრანზიტული ტვირთები საქართველოს საზღვარს გადმოკვეთს ბიუკასიკი-გარდაბნის გადასარბენზე. აზერბაიჯანის რკინიგზა ტვირთების გადაზიდვის მაღალი სიჩქარით არ გამოირჩევა და მისი ფაქტიური მნიშვნელობა საშვალოდ შეადგენს 30-32 კმ/სთ. ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის ზრდის საშუალო სიჩქარე უფრო დაბალია და 22 კმ/სთ არ აღემატება.³

გადაზიდული ფაქტიური საშვალო და გრაფიკული სიჩქარები, ასევე გრაფიკული სიჩქარიდან გადახვევის მიზეზები მოცემულია ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ სამარშუტო სიჩქარის გრაფიკული მნიშვნელობის მხოლოდ 72.51% სრულდება, ხოლო დანარჩენი 27.49% შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი ინფრასტრუქტურული მიზეზებით, როგორებიცაა:

- სამატარებლო გაფრთხილება - 2.49%;
- ტექნიკური ფანჯარა - 0.59%;
- სვლის დროის დაუცველობა - 10.68%;
- ელმავლების დაზიანება - 0.28%;
- ვაგონების დაზიანება - 0.14%;
- ტექნიკური პრობლემა - 11.88%;
- სხვა - 1.13%.

დასპანა

ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვის სიჩქარის მოსალოდნელი გაზრდა მოითხოვს ერთის მხრივ მენეჯმენტის სრულყოფას, შემადგენლობების დაყოვნების მინიმუმამდე შემცირებას სარკინიგზო სადგურებში და მეროე მხრივ -გადასარბენებზე ტექნიკური სიჩქარის ზრდას.

საქართველოს რკინიგზის უმეტესი ნაწილი, როგორც ზეპირ ავლნიშნეთ ორლიანდაგიანია, რაც იძლევა საშვალებას მკვეთრად გაიზარდოს ტრანსპორტის სიჩქარე რკინიგზის მთელ სიგრძეზე, გარდა ერთლიანდაგიანი „ძირულა-ხარაგაულის“ გადასარბენისა. ეს უკანასკნელი აფერზებას ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდის პროცესს. რამდენადაც მონაკვეთი რთული რელიეფით გამოირჩევა, საჭიროა ახალი სარკინიგზო მიწის ვაკისის, სარკინიგზო გვირაბების, სარკინიგზო ხიდებისა და სხვა რთული საინჯინრო ნაგებობების მშენებლობა. ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რიგი ღონისძიებების გატარება, რომელთა ნაწილზე ზრუნვაც, ჩვენს მიერ შეთავაზებული რეკომენდაციებით, რკინიგზის ადმინისტრაციას დაწყებული აქვს, ნაწილი კი განხილვის პროცესშია.

შ.პ.ს. “საქართველოს რკინიგზის” ინფრასტრუქტურის სრულყოფაშ საჭიროა უზრუნველყოს:

- ტვირთის მოცულობის ზრდა;
- ტვირთის გადატანის სიჩქარე და საიმედოობის ამაღლება;
- მგზავრთა გადაყვანის სიჩქარის და უსაფრთხოების მკვეთრი ზრდა;
- საზღვრისპირა ტერმინალებში ტვირთების ლოდინის დროის შემცირება;

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნემსაძე ყარამან. დარგობრივი საბაზო ეკონომიკის საფუძვლები საქართველოს რკინიგზის მაგალითზე: [სახელმძღვ/რედ: ლ.სახნიაძე ; საქ. ღკინიგზის ინ-ტის ეკონ.-ჰუმანიტ. კათედრა]. – თბ. 2004; თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საზღვარგარეთის წამყვანი სარკინიგზო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით / თემურ ბულია, დავით გონდაური; [სარედ. კოლ: გივი გამსახურდია და სხვ]. – 216გვ;
2. მერჯმენტი ტრანსპორტზე : [სახელმძღვ. საინჟ. – ტექ. ფაკ. სტუდ.] / იზოლდა დანგამე, მირიან გოგილაშვილი; [რედ. თეიმურაზ კოჩაძე]. – ქუთაისი : [აკ. წერეთლის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა], 2009. – 100გვ; საქართველოს ტრანსპორტის განვითარების ტენდენციები /მ. ზუბიაშვილი, თ. ქამხაძე//ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა: სამეცნიერო – ტექნიკური უურნალი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. – თბილისი, 2010:

3. ჩხაიძე, აკაკი. გადაზიდვითი პროცესის ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე: [სახელმძღვანელოს შაქ. ტექ. უნ-ტის სტუდ.-თვის/ რედ.: ლ. აბულაძე]; სტუ. -მე-2 გამოც.-თბ.: ტექ. უნ-ტი, 2001; კუპატაძე, თორნიკე. მიერკავებასის რკინიგზის განვითარების ძირითადი ეტაპები/[მთ. რედ.: თამაზ ჯუმნია]. – თბ.: მემატიანე, 2004.

WAYS OF GEORGIAN RAILWAY INFRASTRUCTURE IMPROVEMENT

D. Japaridze

Summary

In the article adduced ways of Georgian railway infrastructure improvement. There is considered bypass road of Tbilisi and Baku-Tbilisi-Kars railway line construction projects. there is formed different alternative questions of projects, their positive and negative sides. There is mentioned necessary recommendation for normal development.

ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ИНФРАСТРУКТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ЖЕЛЕЗНОЙ ДОРОГИ

Давид Джапаридзе
Резюме

В статье приведены способы улучшения инфраструктуры грузинской железной дороги. Одний из этих направлений считается обьездная дорога Тбилиси и проект строительства линии по направлению «Баку-Тбилиси-Карс». Рассматриваются разные альтернативные проекты, их положительные и отрицательные стороны.. Приведены необходимые рекомендации для улучшения инфраструктури и повышения скорости перевозки грузов.



უაპ 622.62

საჭარმოს ანტიკრიზისული მართვის პრობლემები

ნ. დარსაველიძე

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175,
თბილისი)**

რეზიუმე: 90-იან წლების პირველ ნახევარში ბაზრის რეფორმები სპირობებში სამრეწველო საწარმოთა უძლიერი ნაწილის გაკოტრება და უმრავლესობის ლიკვიდაცია მოხდა. ნაშრომში განხილულია სამრეწველო საწარმოების ბანკოტობის ონსტიტუტის შესახებ ცნობები და „ანტიკრიზისულ იმართვის“ მექანიზმები. მოცემულია სამრეწველო საწარმოების წარუმატებლობის დაძლევისა და შესაბამისად კონომიკური მდგრადობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების მუქანიზმი.

საკვანძოსიტყვები: ანტიკრიზისული მართვა, ბანკოტობა, სანაცია.

შესავალი

გადაუხდელობის პრობლემის მკვეთრი გამწვავების, წარუმატებელი საწარმოების რიცხვის ზრდის, ბაზრის რეფორმის პირობებში სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილის გაკოტრების და ლიკვიდაციის საშიშროების შედეგად, გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში დამკვიდრდა ტერმინი „ანტიკრიზისული მართვა იგი შემოვიდა სამეცნიერო და პრაქტიკულ ბრუნვაში, ფიგურირებს წიგნების და სასწავლო სახელმძღვანელოების სათაურებში, მაგრამ ამასთან ერთად ვერ მიიღო მკაფიო განმარტება. ერთის მხრივ ანტიკრიზისული მართვა ხასიათდება როგორც განზოგადოებული ცნება, რომელიც ნიშნავს მმართველობითი მეცნიერების ახალ მიმართულებას და რომელიც დაკავშირებულია იმ მეთოდებისა და ხერხების შესწავლასთან, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან თავიდან ავიცილოთ გაკოტრება, მორეს მხრივ – იგი

განიმარტება, როგორც მიკროეკონომიკური პროცესი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ საწარმოს მიმართებაში ანტიკრიზისული პროცედურების რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. ანტიკრიზისული მართვის მიზნები და ამოცანები წარუმატებელი საწარმოების მიერ არსებითად ტრანსფორმირდება ეკონომიკური რეფორმების მსვლელობისას. დრომ აჩვენა, რომ ანტიკრიზისული მართვის ორიენტაცია არბიტრაჟულ პროცედურებზე, რომელსაც მოვყევართ წამგებიანი საწარმოების ბანკროტობამდე, მესაკუთრის ცვლილებამდე, საკუთრების აუქციონზე გატანამდე. და მის ტრასტში გადაცემამდე, ვერ წყვეტს წარმოების წამგებიანობის პრობლემებს, მაგრამ ამ მოქმედებებს შეუძლიათ ლიკვიდაციამდე მივიყვანოთ საწარმოების თითქმის ნახევარი, რაც გამოიწვევს არაწინასწარ განსაზღვრულ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს.

90-იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაციამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მისი მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, აგრეთვე საწარმოო და ფინანსური მართვის ხარისხის გარდაქმნის მეშვეობით. სხვაგვარად რომ ითქვას – წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღება მიიღწევა მათი რესტრუქტურიზაციის გზით ურთიერთდაკავშირებული სისტემური გარდაქმნების საფუძველზე. აღნიშნულ გარემოებათა დაკავშირებით, წარმოდგენები ანტიკრიზისული მართვის შესახებ სულ უფრო შორის მის შესახებ წარმოდგენებს მესაკუთრის შეცვლისა და გარე მართვის შემოღების სასამართლო წესის ფორმით. უფრო რაციონალურია წარუმატებელი საწარმოების ანტიკრიზისული მართვა კრიზისის დაძლევის ღონისძიებების გზით, არაეფექტური ფუნქციონირების ფაქტორების თავიდან აცილებით.

უკანასკნელ დროს ქართულ ეკონომიკაში წარმოების მიმართებაში ინოვაციის სახით გამოდის ბანკროტობის ინსტიტუტი.


საწარმოების ბანკროტომა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ იარაღს, რომლის ჩამოყალიბების და რეგულირების მეშვეობით სახელმწიფო ასრულებს გადამწყვეტ როლს, იყენებს რა საკანონმდებლო ორგანოების სისტემას, ამიტომ წარუმატებლობის, როგორც ეკონომიკური მოვლენის გაგება თავის ასახვას უნდა პოულობდეს კანონდობრივად გამაგრებულ ეკონომიკური სისტემის რეგულირების მექანიზმში. წარუმატებლობას, როგორც ეკონომიკური მოვლენის გაგება ნიშნავს, რომ ბანკროტობის ფორმირებადი სისტემის ფარგლებში საჭიროა გამოიყოს როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური მიზნებიც. მაკროეკონომიკური მიზნები დაკავშირებული არიან, უპირველეს ყოვლისა, მთელი სახალხო მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნასთან, ეროვნული წარმოების ახალი სისტემის ფორმირებასთან საბაზრო მოთხოვნილების შესაბამისად. მიკროეკონომიკური მიზნები კი დაკავშირებულნი არიან ყოველი ცალკეული საწარმოს

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფასთან ინდივიდუალური წარმოების ხარისხში. რამდენადაც ნებისმიერი საწარმო წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია სხვებთან მთელი რიგი პირდაპირი და უკუკავშირებით, ამიტომ მაკონეკონომიკური ამოცანების რეალიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს მიკროეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და პირიქით. ბანკროტობა მიკროეკონომიკურ დონეზე (კონკრეტული საწარმოს დონეზე) მოწოდებულია ჩამოაყალიბოს წარუმატებლობის რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ასახავს საწარმოს წარუმატებლობის შესაძლო და ოპტიმალური გადაწყვეტილებების ძირითად პრინციპებსა და ხერხებს. წარუმატებლობის რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი წარმოადგენს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართული არიან ერთის მხრივ საწარმოს გაჯანსაღებისათვის მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნაზე, ხოლო მეორეს მხრივ – საწარმოს აბსოლუტურ წამგებიანობის შემთხვევაში – მისი ლიკვიდაციის ცივილური პროცესის გატარებაზე. ბანკროტობის კანონმდებლობა და პროცედურები დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია დამუშავებულია და ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. საზღვარგარეთ, ბანკროტობა – სამეწარმეო ცხოვრების ნორმაა, იგი არიწვევს „კატასტროფაში მოყოლილის“ შეგრძნებას, მაგრამ იძულებულს ხდის უფრო ეფექტურად უხელმძღვანელოს, უკეთესად იფიქროს, სწორად იმოქმედოს. ყოველწლიურად ბანკროტობის მსხვერპლი აშშ-ში ხდება 90 ათასი ფირმა; გერმანიაში – 15-16 ათასი, კანადაში – დაახლოებით 10 ათასი, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების საფუძველს, დამუშავებულ იქნა „ბანკროტობისა და საწარმოების ხელშეწყობის სისტემა“, რომელიც თავის თავში მოიცავ რიგ ლოგიკურ მიზეზობრივ – შედეგობრივ, ორგანიზაციულ და მეთოდების სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფა ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მიერ (ნახ. 1)

საქართველოს სტატისტიკის მონაცემებში არ ქვეყნდება მაკოტრებულ საწარმოთა რიცხვი. მის შესახებ მხოლოდ ირიბად შეგვიძლია ვიმსჯელოდ. 2009 წლის სტატისტიკურ წელიწლებით მოქმედი საწარმოების რიცხვმა 2006 წელს შეადგია 28530 ერთეული, 2007 წლის – 23137, ხოლო 2008 წლის – 21779. უნდა ვივარაუდოთ, რომ წლების მიხედვით საწარმოები(ფირმები) ჩერდებან, ან განიცდიან ლიკვიდაციას გაკოტრების გამო ამიტომ ანტიკრიზისული მართვის მექანიზმის კვალიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბებას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

საქართველოს სტატისტიკის მონაცემებში არ ქვეყნდება მაკოტრებულ საწარმოთა რიცხვი.

მის შესახებ მხოლოდ ირიბად შეგვიძლია ვიმსჯელოდ. 2009 წლის სტატისტიკურ წელიწლეულით მოქმედი საწარმოების რიცხვმა 2006 წელს შეადგია 28530 ერთეული, 2007 წლის - 23137, ხოლო 2008 წლის - 21779. უნდა ვივარაუდოთ, რომ წლების მიზედვით საწარმოები(ფირმები) ჩერდებიან, ან განიცდიან ლიკვიდაციას გაკოტრების გამო ამიტომ ანტიკრიზისული მართვის მექანიზმის კვალიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბებას აქვს არსებითი მნიშვნელობა.



ნახ. 1. საწარმოს წარუმატებლობის (ბანკროტობის) სისტემა

დასკვნა

წარუმატებლობის დაძლევა და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა, მოითხოვს განსაზღვრულ ექსტრაორდინალურ ურთიერთობათა ფორმირებას ეკონომიკაში, წარუმატებელი მეურნეობის სუბიექტებსა და მაკროეკონომიკის სისტემებს შორის. ამ ურთიერთობების რეალიზაციის განხორციელება შეიძლება „საწარმოთა გამოჯანმრთელების“ პროცესის ჩარჩოში

მათი სანაციით (სანაცია – შანატით ლათ. სიტყვა – მკურნალობა, გამოჯანმრთელება).

საწარმოების სანაცია ორ შემთხვევაში ტარდება:

I – კრედიტორების მიერ ბანკოტობის შესახებ საქმის აღმვრამდე, როდესაც საწარმოები თავიანთი ინიციატივით კრიზისული სიტუაციიდან თავისდაღწევისთვის მიმართავენ შიდა რესურსებს და დახმარებას (სასამართლომდელი სანაცია).

II – როდესაც სანაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს საარბიტრაჟო სასამართლოს.

სანაციის მიზანი ითვლება მიღწეულად თუკი შიდა რეზერვების ანდა გარედან ფინანსური დახმარების ხარჯზე შესაძლებელი გახდება საწარმოო საქმიანობის ნორმალიზება და მოვალე საწარმოს ბანკრონტად გამოცხადება და მისი ქონების გაყიდვა აღარ იქნება აცილებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

– საწარმოთა ბანკროტობა ეს არის საბაზო ეკონომიკის ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომლის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაში სახელმწიფო გადამწყვეტ როლს თამაშობს, რისთვისაც საკანონმდებლო სისტემას იყენებს;

– იმ ზომების მრავალფეროვნება, რომელიც ანტიკრიზისული პროცესების რეგულირებისას გამოიყენება და სახელმწიფო ატარებს: პროფილაქტიკური ზომები კრიზისის შესახებ წინასწარი გაფრთხილებით.

– სასამართლო დელისანაცია-როგორც საწარმოს კრიზისის დაძლევის პოლიტიკის შედეგი დანდობის რეზიმში;

– საარბიტრაჟო სანაცია – კანონის ნორმების მკაცრი დაცვის პოლიტიკის გატარებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Э.М. Коротков. Антикризисное управление . М. ИНФРА . М. 2002г.
2. Э.А. Уткин . Аудит и управление несостоятельным предприятием .-М. ТАНДЕМ 2005г .
3. Р.Ю. Уманский. Формирование стратегии оздоровления несостоятельного предприятия. Саратов.2007г.

ПРОБЛЕМЫ АНТИКРИЗИСНОГО УПРАВЛЕНИЯ ПРЕДПРИЯТИЯМИ

Н. Дарсавелидзе

Резюме

При рыночной реформе, в первой половине 90-ых годов, многие предприятия обанкротились, а большинство из них ликвидировались. В работе рассмотрены вопросы об институте банкротства предприятий и механизмы «антикризисного управления». Показаны возможные механизмы и мероприятия по продолжению и восстановлению экономической стабильности.

PROBLEMS OF ANTI- CRISIS MANAGEMENT OF A COMPANY

N. Darsavelidze

Summary

In the first half of 90th years within the market reformation a great number of companies were bankrupted and most of them were liquidated. This work deals with information on the institutes of bankruptcy and mechanisms of anti-crisis management. There is presented the mechanism of carrying on the measures necessary for overcoming the failure of manufacturing companies and accordingly for restoring the economic sustainability.



უაპ 622.62

**მმართველობითი გადაფყვეტილების ფორმირების
ეთოლები და მოდელები**

მ. ჩინჩალაძე

(საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ. 77, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: საწარმოო სისტემის ფუნქციონირება გულისხმობს საწარმოო და მმართველობითი პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირს. საწარმოს ამოცანები იცვლება შედა თუ გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით. რაც საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის რესურსების ამოწურვის მიზანდ გვჯღინება. აუცილებელია ამგვარი პროცესების პროცენტირება, ამიტომ, ორგანიზაციული სტრუქტურა თავად უნდა ექვემდებარებოდეს მართვას. ზარდია რა მოთხოვნები, სარკინიგზო-სატრანსპორტო წარმოების ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე, ეკონომისტებზე, სატრანსპორტო-მანქანათმშენებლობის დარგებში საორგანიზაციო საკითხებით დაკავებულ სპეციალისტებზე. უცილებელია, მათებატიკურ-ეკონომიკური მოდელირების მეთოდების დაუფლება, რათა მათ უზრუნველყონ საწარმოს მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული პროცესების მოდელირებისას წარმოქმნილი პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მეთოდები; ეკონომიკური მოდელები, ლოგისტიკა.

შესავალი

ფ. ტეილორი ამტკიცებდა, რომ “მართვის მოდელი არ არის მხოლოდ გამოგონება, ეს - ევოლუციაა. რადგანაც, იგი ფორმირებას განიცდის წლიდან-წლამდე, ათწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში და შეუძლებელია მისი კოპირება სხვა ქვეყნიდან. მმართველობითი

მოდელი ორგანულად უნდა შეერწყას ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს, ხალხთა სულიერ კულტურას. მხოლოდ ასეთი მოდელი მოიკიდებს ფეხს.”²

მოდელირების შესახებ მსჯელობისას უნდა გავაცნობიეროთ მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირების მეთოდებიც. მმართველობით პროცესს ართულებს გარემო ფაქტორთა თავისებურებანი. ხელმძღვანელი ინტუიციით მცირე ძალისმევით აყალიბებს გადაწყვეტილებას, რაც მას უადვილებს პრობლემაზე მუშაობის პროცესს. საკითხის პრაგმატული ხედვის მომხრენის აზრით, კი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მეცნიერულად დამუშავებულად. მართვის პრაქტიკაში კატეგორია “ მმართველობითი მოდელი” - ერთ-ერთი ძირითადია. როგორ ვმართოთ ობიექტი, რომელი მმართველობითი სტრატეგია ავირჩიოთ, რომელ ტექნოლოგიას მივანიჭოთ უპირატესობა, რათა ეფექტურად გადაგჭრათ საკითხები? - აი, ამ პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი ხელმძღვანელი.

მირითადი ნაშილი

მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისას მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდების გამოყოფა

1. სპონტანური მეთოდი
2. ინტუიციური მეთოდი
3. მსჯელობის მეთოდი
4. ბინარული მეთოდი
5. მრავალვარიანტული მეთოდი
6. ინოვაციური მეთოდი³

დავახასიათოთ თითოეული მათგანი: სპონტანური მეთოდი ხელმძღვანელის ემოციებს ეყრდნობა, ემოცია კი ცუდი მრჩეველია, რადგანაც ემოციურ ფონზე ხელმძღვანელი არაეფექტურ გადაწყვეტილებას იღებს. ემოციურად მიღებული გადაწყვეტილებანი ნაჩქარევია და გაუმართლებელი.

მეტად სპეციფიური მეთოდია ინსტიქტური, ინტუიციური მეთოდი, რომელიც ეყრდნობა სუბიექტურ შეგრძნებებს და გარემოს აღქმის ინდივიდუალურობაზე მეტყველებს. ამ მეთოდით მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტურია როდესაც ხელმძღვანელი განსაკუთრებული

² Губко М. В., Новиков Д. А. Теория игр в управлении организационными системами. - М.: Синтег, 2002.

³ Новиков Д. А., Иващенко А. А. Модели и методы организационного управления инновационным развитием фирмы. - М.: ЛЕНАНД, 2006

წინათგრძნობისა და ინტუიციის მქონე ადამიანია. ფსიქოლოგების აზრით, ინტუიცია-ესაა ცოდნისა და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის გონიერების, საჭირო მომენტში. იგი სავსებით კონკრეტული ცნებაა და სცდება გამოცდილებისა და კანონზომიერებათა საზღვრებს. ხელმძღვანელი ინტუიციურ მეთოდებს მიმართავს:

1. ინფორმაციული დეფიციტის დროს;
2. როდესაც არ არსებობს სარწმუნო ინფორმაციის წყარო;
3. როდესაც არ არსებობს ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების გზები.

მმართველობით პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესი საკითხია რაციონალური გადაწყვეტილების არჩევანი. იგი ემყარება ცივ გონებას, ლოგიკურ აზროვნებას, ფაქტების ანალიზს. მსჯელობის მეთოდი გულისხმობს ინდივიდუალურ, თვალთახედვასა და ცოდნასა თუ გამოცდილებას.

ხელმძღვანელს ღროდადრო უხდება ორი დიამეტრალურად განსხვავებული ალტერნატიული ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევა. (პრინციპით კი-არა). ბინარული მეთოდი მოიცავს რისკის მაღალი შემცველობის ორი ალტერნატიული ვარიანტის ანალიზს. არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთი ვარიანტის სასარგებლოდ და მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია თავი აარიდოს ამ მეთოდს. ხოლო მრავალვარიანტული მეთოდი ხელმძღვანელს გადაწყვეტილებათა ფართო არჩევანს აძლევს. ხოლო, ინოვაციური მეთოდიებით გადაწყვეტილების ფორმირებისას, ხელმძღვანელი აზროვნებს არაორდინალურად, იგი ძიების პროცესშია და ახალ, ეფექტურ და რაციონალურ გადაწყვეტილებებს პოულობს. პრაქტიკულად ქმნის სასურველი შედეგების ამსახველ მოდელს, რომელიც შედგება ცალკეული კრიტერიუმებისაგან. სწორედ ამ კრიტერიუმებით ახდენს იგი იმ მმართველობითი პროცესების მოდელირებას. ორგანიზაციათა მმართველობით მოდელები 3 სახისაა:

- 1) ავტორიტარული მოდელები (ადმინისტრაციული, ფორმალური) (ხისტი);
- 2) ორგანული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ანუ არაფორმალური მოდელები (მოქნილი);
- 3) კომბინირებული მოდელები - სადაც საკმაოდ სბალანსირებულია ორივე მოდელი.

წარმოების მზარდმა ტემპებმა, როულმა ტექნოლოგიებმა, დაქირავებული მუშახელის მზარდმა კვალიფიკაციამ, მმართველობითი კულტურის სრულყოფამ, თანდათანობით დანერგა პრაქტიკაში მოქნილი მოდელები. ხელმძღვანელის გადაწყვეტილება თვისობრივად შეიძლება შევადაროთ მასალათა ელექტროგამტარუნარიანობას. მსგავსად ელექტრული დენისა, რომელიც გარკვეული სიმკვრივის ელექტროგამტარში გაივლის - ხელმძღვანელის აზროვნება, მიზნები, მითითებანი და სურვილები რეალიზდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და წარმატებაც თუ წარუმატებლობაც, მხოლოდ მის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. წინადადების რეალიზაციით მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებლობა, საბაზისო ფაქტორია მმართველობით

გადაწყვეტილებაში. პასუხისმგებლობის გრძნობა აღმრავს ხელმძღვანელში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მოტივაციას. მოგების მაქსიმიზირება შესაძლებელია წრფივი პროგრამირების მოდელების გამოყენებით. ისინი დიდი წარმატებით გამოიყენება წარმოებებში, რადგანაც ეკონომიკური და მმართველობითი ამოცანები კარგად აღიწერება წრფივი მოდელებით. წრფივი პროგრამირების მოდელები, დეტერმინირებულია. თუმცა არსებობენ ალბათობის მატარებელი ამოცანებიც, რომლის მაგალითსაც სატრანსპორტო ამოცანები წარმოადგენენ. რადგანაც საბოლოო დანიშნულების ადგილი, წინასწარ არ არის განსაზღვრული. იაპონურ ფირმებში საწარმოს ხელმძღვანელობას აქვს გამოკვეთილი ტენდენცია, ძალაუფლების ინტეგრირებისა საკუთარ ხელში. არ არსებობს კონტროლის ცენტრალიზებული სამსახური, საამქროთაშორისი ურთიერთკავშირი ხორციელდება საამქროების უფროსებს შორის – ადგილი აქვს საამქროთაშორის კოორდინაციას. პრაქტიკაში, იაპონური ფირმები მიმართავენ ლოკალიზებულ, ჰორიზონტალურ კოორდინაციას. მათ აქვთ მმართველობითი დონის მხოლოდ 5 სახე. ამერიკულ სავტომობილო მრეწველობაში, კი ასეთი 11-12 დონეა. იაპონური საწარმოო სისტემა იყენებს “კანბან” ბარათებს, რაც ამარტივებს ურთიერთკავშირში მყოფი უბნებისა და საამქროების მართვის სტრუქტურას. წარმოების დეცენტრალიზირებული, ჰორიზონტალური მართვისას, იაპონური მაგალითიდან გამომდინარე, შესაძლებელია მაღალი ეფექტიანობის მიღწევა. მართვის ამ მეთოდიდან გამომდინარე, იერარქიული მართვისაგნ განსხვავებით, საამქროები თავად არიან კომუნიკაციის საკვანძო ცენტრები. ასე, რომ ლოგისტიკა “კანბანმა” ფეხი მოიკიდა იაპონურ სავტომობილო მრეწველობაში. მისი მიზანია საწარმოო და საინფორმაციო ნაკადების ინტეგრირება, რაც მინიმალური დანაკარგებით ბაზარზე დაფიქსირებულ სიტუაციურ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, მოთხოვნის მკვეთრად შემცირებისას, ჰორიზონტალური კოორდინაცია, ინფორმაციის ცენტრალიზაციის გარეშე არაეფექტურია. მაგალითად, ფირმა “ტოიოტა”, “კანბანის” სისტემაშია ჩართული. თითოეული საამქროსათვის იქმნება საწარმოო გეგმა-გრაფიკები, გათვლილი საკმაოდ მცირე დროის მონაკვეთზე და მსგავსია ცენტრალიზებული დაგეგმვისა. ოპერატიული გრაფიკები ეხება მთავარ კონვეირებს, ხოლო, დამხმარე საამქრონი, სადაც დაუმთავრებელი პროდუქცია იქმნება, არ იმართებიან ადმინისტრაციული წესით. მათ სამართავად არსებობს სისტემა “კანბანი”. ყურადღებას იმსახურებს იაპონური ხარისხის მართვის პროცესიც, რომელიც ასევე აღნიშნული სისტემის თანახმად ხორციელდება. სისტემა “კანბანი” ანუ სისტემა-“მარაგების გარეშე” და “ზუსტად დროში”, გულისხმობს საწარმოს მარაგების მართვასა და ხარისხის კონტროლს.

დასკვნა

კორელაციური მოდელირება სხვადასხა ეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობრივ დახასიათებას - არამარტო ანალიზის, არამედ, პროგნოზირებისა და გეგმიური გაანგარიშების საშუალებასაც იძლევა. ფუნქციონალური ან კორელაციური დამოკიდებულება ვლინდება წებისმიერი კვლევის პროცესში, პარამეტრებს შორის ეკონომიკურ ურთიერთკავშირში. ფუნქციონალური დამოკიდებულება სიზუსტით ასახავს შესასწავლ ობიექტს, კორელაციური დამოკიდებულება მხოლოდ ზოგადად წარმოგვიდგენს ობიექტის მახასიათებლებს, გარკვეული ცდებისა და დაკვირვების ფონზე. იმის გამო, რომ ეკონომიკური სიდიდეები ყალიბდებიან როგორც წესი, მრავალი გარეშე ფაქტორის ზემოქმედებით, და ეს კანანზომიერებანი ეკონომიკურ სფეროში არ ხასიათდებიან მაღალი სიზუსტითა და მდგრადობით, ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად უმეტესად მივმართავთ კორელაციური ანალიზის მეთოდს. რომლის დანიშნულებაა ყველაზე ხარისხიანი ანალიზის რაოდენობრივი შეფასება. მისი მიზანია იმ კორელაციური განტოლების შექმნა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება შესასწავლი ობიექტების ურთიერთკავშირს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Экономико-математические методы и модели в управлении производством / А.С, Пелих, Л.Л. Терехов, Л.А. Терехова.- Ростов н/Д: «Феникс», 2005. - 248 с.
2. Балашов В.Г., Заложнев А.Ю., Иващенко А.А., Новиков Д.А. Механизмы управления организационными проектами. –М.: ИПУ РАН, 2003.
3. Губко М.В., Новиков Д.А. Теория игр в управлении организационными системами. – М.:Синтег, 2002.

МОДЕЛИ И МЕТОДЫ ОРГАНИЗАЦИОННОГО УПРАВЛЕНИЯ

M. Чинчаладзе

Резюме

Реальные ситуации, которые складываются в современной общественно-политической и экономической жизни общества, можно охарактеризовать как достаточно сложные. Современные руководители должны обладать знаниями, умениями и навыками, позволяющими не только адекватно реагировать на изменения управленческих ситуаций, но и предвидеть их. В этой связи важнейшая роль в процессе управления отводится разработке и реализации обоснованных управленческих решений. Профессиональный менеджер раскрывает особенности принятия управленческих решений. Он должен владеть технологиями выработки, принятия, реализации управленческих решений, без которых эффективное управление организацией в сложной экономической обстановке практически невозможно.

METHODS AND MODELS FOR FORMATION OF MANAGERIAL DECISION

M. Chinchaladze

Summary

Functioning of manufacturing system means close cooperation of managerial and manufacturing processes. Manufacturing objectives might change depend on the internal or external factors, which may be the reason of small resources of enterprise's organizational structures. It is necessary to forecast the similar processes. So, Organizational structures should be the component of governing. Demand on technical personal and on engineers of railway and transportation industry has greatly increased; the same situation is on economists and organizational staff of these fields (transportation and machine industry). These specials should be well aware of the mathematical and economical models in order to solve the problems, which may occur during the working process.



**სატრანსპორტო და მარშანათმშენებლობის ფაკულტეტის
მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი გაერთიანებულია
შემდეგი მიმართულებები:**

- **მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (№20)**

მიმართულება ამზადებს, ნებისმიერი დარგის წარმოებისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების, დამზადების და ექსპლუატაციის სპეციალისტებს.
- **ამძრავთა სისტემები, ჩარხები და კომპლექსები (№43)**

მიმართულება ამზადებს სამანქანათმშენებლო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების პროექტირების, ექსპლუატაციის, რემონტის, მოდერნიზაციის და ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზის სპეციალისტებს.
- **კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები და წარმოების ავტომატიზაცია (№47)**

მიმართულება ამზადებს კვების საწარმოთა სხვადასხვა დარგის მანქანების რემონტსა და ექსპლუატაციაზე მომუშავე სპეციალისტებს.
- **სამშენებლო მანქანები და მექანიკური მოწყობილობები (№56)**

მიმართულება ამზადებს სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო და კომუნალური მეურნეობის მანქანებისა და მექანიზმების სპეციალისტებს.
- **პოლიგრაფია და ბეჭდვითი კომპიუტერული გრაფიკა (№85)**

მიმართულება ამზადებს ბეჭდვითი მედიისა და სარეკლამო ხელოვნების ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტებს.
- **ხის დამუშავების საწარმოთა მოწყობილობა და ტექნოლოგია (№125)**

მიმართულება ამზადებს მერქნული მასალების დამუშავების ტექნოლოგებს.
- **მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ტექნოლოგია და კონსტრუირება (№126)**

მიმართულება ამზადებს ტყავისა და საფეიქრო ნაწარმის მოდელიორ-ტექნოლოგებს.

სამაგისტრო საეციალოგაზი:

- მექანიზმების დინამიკური ანალიზი და სინთეზი
- დიაგნოსტიკა და კონტროლის მეთოდები მანქანათმშენებლობაში
- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- ამძრავთა სისტემები და მანქანათა დინამიკა
- კვებისა და სამაცივრო საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები
- პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნოლოგია
- მერქნული მასალების დამუშავება, სატყეო საინჟინრო საქმე
- მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგია

სადოქტორო პროგრამა „მანქანათმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა“

მიმართულებები:

- მექანიზმებისა და მანქანების თეორია
- მანქანების დინამიკა და სიმტკიცე
- კვების მრეწველობის მანქანები და აგრეგატები
- ამძრავთა სისტემები
- მერქნული მასალების დამუშავების მოწყობილობები და პროცესები
- პოლიგრაფიული წარმოების მანქანები, აგრეგატები და მოწყობილობები
- ტრიბოტექნიკა
- მანქანათა ნაწილები
- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- მექანიკური და ფიზიკურ-ტექნიკური დამუშავების პროცესები, იარაღები და ტექნოლოგიური აღჭურვილობა

მექანიკის ინჟინერის დიპლომირებულ საეციალისტთა მიმართულებები:

- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- საჩარხო მოწყობილობების ექსპლუატაცია და რემონტი
- კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები
- ამწე-სატრანსპორტო და სალიფტე მეურნეობა
- პოლიგრაფიული მანქანები და ავტომატები
- მერქნული მანქანების დამუშავების მანქანები
- მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მანქანები
- სამშენებლო, საგზაო, სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები

შაპ 625.337

**საბრუნავი კაპიტალი ფირმის მენეჯმენტის ყურადღების
ცენტრი**

ი. ფრანგიშვილი

(სქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77 0175 თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობით მნიშვნელოვნად განისაზღვრება ფირმის საერთო უფლების მისი მართვა მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ფირმისათვის რესურსების შემოსაზღვრულობა განაპირობებს საბრუნავი კაპიტალის მასის შენარჩუნების აუცილებლობას იმ მინიმალურ დონეზე, რომელიც ხელს არ შეუშლის წარმოების ნორმალურ ფუნქციონირებას და ამავე დროს გამოათავისუფლებს სახსრებს. აღნიშნული კი შესაძლებელია მარაგების ზომის ოპტიმიზაციით და საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარის მაქსიმიზაციით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, საბრუნავი კაპიტალი, ეკონომიკური კატეგორიები.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება განაპირობებს მეურნეობის კვლავწარმოებითი დონის ყველა სტადიაზე ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების განვითარებას. ამის შედეგად საზოგადოებრივი ყოფის რომელიმე მხარის ეკონომიკური ურთიერთობების მახასიათებელი აყალიბებს ეკონომიკურ კატეგორიას.

ეკონომიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ასახავს საზოგადოებაში რეალურად არსებულ ურთიერთობებს და აქვს საეციფიკური დანიშნულება.

პირითადი ნაშილი

საწარმოს და ფინანსური საქმიანობის ნორმალური პირობების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბრუნავი საშუალებების რაციონალურ ორგანიზაციას.

მაღალი ინფლაცია, გადასახადები და სხვა კრიზისული მოვლენები აიძულებს საწარმოებს შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა საბრუნავ კაპიტალთან მიმართებაში, განსაზღვრონ მასზე მოთხოვნა, ეძებონ შევსების ახალი წყაროები, შეისწავლონ შენარჩუნებისა და ეფექტურად გამოყენების პრობლემები.

საბრუნავი კაპიტალის მართვას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების რენტაბელობის ზრდისა და საწარმოს მდგრადი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მისაღწევად. მნიშვნელოვანი მომენტია საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფა სათანადო ფინანსური წყაროებით და რაციონალური თანაფარდობის შენარჩუნება საკუთარ საბრუნავ კაპიტალსა და ნასესხებს შორის. დასმული პრობლემის გადაჭრის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საბრუნავი კაპიტალის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოვლენას რეგიონალურ და ცალკეული საწარმოების დონეზე.

საბრუნავი კაპიტალის კვლევა მიკროდონებზე სავსებით კონკრეტული შინაარსისაა, დაკავშირებულია საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობასთან, შიდა და გარეგანი სიტუაციების ახსნასთან. გავლენას ახდენს წარმოებასა და გასაღებაზე, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ თანაფარდობაზე, კონკრეტულ მომხმარებელზე და კომერციულ რისკზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტუალურია წარმოების პროცესების მართვის ორგანიზაციის სრულყოფის ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების საკითხები. ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა აკონტროლონ საანგარიშო პერიოდში მიღებული შედეგები, აგრეთვე მნიშვნელოვანი მომენტია ეკონომიკის საფუძვლიანი ცოდნა.

ამას გარდა საფინანსო—სამეურნეო საქმიანობის ეფექტურიანი მართვისათვის აუცილებელია მეთოდური დოკუმენტების პაკეტი, რომელიც შეამცირებდა მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე გაწეულ დანახარჯებს და კერძოდ კი საბრუნავი კაპიტალის ხარჯებს, გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საბრუნავი კაპიტალის მართვის სისტემა შედგება სამი ბლოკისაგან:

- 1) მართვის თეორიული საფუძვლები, სისტემის პრინციპული დებულებები (კონცეფცია);

- 2) საბრუნავი კაპიტალის მართვის სტრატეგია, რეალიზაციის მექანიზმი;
- 3) ძირითადი დებულებების რეალიზაციის მეთოდები და ხერხები.

გაფართოებლი კვლავწარმოების პირობებში წინა პლანზე იწევს რეგიონალურ დონეზე საბრუნავი კაპიტალის მართვის რამდენიმე საკვანძო პრობლემა. პირველ რიგში ესაა კაპიტალის შექმნა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი სახსრებისა და რესურსების მოზიდვა.ი

საბრუნავი კაპიტალის შექმნა შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც შრომის მომენტი, რის შედეგადაც იქმნება წარმოების საშუალებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ მეწარმე თავად არ ქმნის გამოყენებულ საბრუნავ კაპიტალს და ყიდულობს მას, მაშინ იგი ხარჯავს თავისი შრომის ნაწილს შესაბამისი პროდუქციის წარმოებაზე, ასე რომ კაპიტალი მას განსაზღვრულ შრომად უჯდება.

ძირითადი კაპიტალი წარმოების პროცესში ფუნქციონირებს თავისი სამომხმარებლო ფორმით და განსაზღვრავს საბრუნავი კაპიტალის ციკლების გაგრძელებას (საბრუნავ მუდმივ კაპიტალს + საბრუნავი ცვალებადი კაპიტალი). ყოველი ცალკეული ბრუნვა ანაზღაურებს დახარჯულ საბრუნავ კაპიტალს სასაქონლო კაპიტალის სახით (წარმოების სფეროდან - მიმოქცევის სფეროში). სინამდვილეში მიმოქცევის პირველი ფაზა, საერთოა როგორც საბრუნავი მუდმივი, ასევე საბრუნავი „ცვალებადი კაპიტალისათვის“. მეორე ფაზაში - ფული პირველ შემთხვევაში გარდაიქმნება საწარმოო მარაგებად (საბრუნავი მუდმივი კაპიტალი), მეორე ნაწილი დევს ფულადი მარაგის სახით, რომელიც თანდათან იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე (საბრუნავი ცვალებადი კაპიტალი). შესაბამისად, კაპიტალის დაგროვების პროცესი წარმოადგენს წარმოების საშუალებების კვლავწარმოებასა და სრულყოფას, ხოლო კაპიტალი ესაა მწარმოებელთა ენერგია, რომელიც შრომის სახით გამოიყენება. ამას გარდა, კაპიტალი შეიძლება ასევე წარმოდგენილი იქნას როგორც დაგროვილი თავისუფლება.ი

ტერმინები: ”ცვალებადი“ და ”მუდმივი“ გამოიყენება მაშინ, როცა აუცილებელია დახასიათდეს დანახარჯების გავლენა საწარმოო საქმიანობის დონის ცვლილებებზე. თუმცა, თუ კი შესწავლილი იქნება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები, მაშინ ალბათ უფრო სწორი იქნება იგი გამოკვლეული იქნას ინკრემენტული (ზრდადი), მარგინალური (ზღვრული) ხარჯების და შემოსავლების თვალსაზრისით. ინკრემენტული ხარჯები და შემოსავლები არის დამატებითი და ყალიბდება დამატებითი ერთეული პროდუქციის დამზადების ან რეალიზაციის შედეგად. ინკრემენტული ხარჯები და შემოსავლები მარგინალური ხარჯებისა და შემოსავლების მსგავსია.

მარგინალური დანახარჯებისა და შემოსავლების მირითადი განსხვავებაა დამატებითი ზარჯებისა და შემოსავლების მიღება პროდუქციის ერთეულზე. დანახარჯების ეს სახეობა შეიძლება გამოყენებული იქნას საწარმოში პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისას. ამასთან საჭიროა ისინი გათვალისწინებული იქნას, როგორც წარმოების მასშტაბის გადიდების შედეგი. შესაბამისად, თუ კი იზრდება წარმოების მასშტაბები, მაშინ ადგილი აქვს საბრუნავი კაპიტალის ზრდას, შემოსავლების გადიდებას. საბრუნავი კაპიტალის რაოდენობრივი შეფასებისათვის, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ”ინკრემენტული საბრუნავი კაპიტალი” და ”მარგინალური საბრუნავი კაპიტალი”. ამასთან პირველი, როგორც დამატებითი და მეორე, როგორც ზღვრული. მარგინალური საბრუნავი კაპიტალი, როგორც ზღვრული, შეიძლება ასევე განისაზღვროს, როგორც ნორმატიული საბრუნავი კაპიტალი. ასეთი დებულებები გამოყენებული უნდა იქნას საპროგნოზო გათვლების დროსაც.

საბრუნავი კაპიტალის ფორმირება განისაზღვრება მისი ზემოქმედებით წარმოების საბოლოო შედეგებზე. მისი ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით შეიძლება აიგოს წარმოების მართვის მოდელები. მათი აგებისათვის აუცილებელია ბაზრის მართვის დაგეგმვის თეორიის სრულყოფა. მათში ცალკე აღებული საბრუნავი კაპიტალის ჩართვის გზით. ამასთან პირობებში საბრუნავი კაპიტალის შეფასების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი მეთოდი ემყარება ლირებულებით შეფასებას.

მეორე მეთოდი დაფუძნებულია რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრაზე და ითვალისწინებს საბრუნავი კაპიტალის გავლენის განსაზღვრას წარმოების შედეგებზე.

რესურსების შეფასებისას გამოიყენება ორი ვარიანტი - ინტეგრალური და პროდუქტიული. ერთი ან მეორე ვარიანტის კანონზომიერების დასაბუთებისას უნდა გამოვდიოდეთ ცნების მახასიათებელი თვისებებიდან.

ინტეგრალური შეფასება ეყრდნობა ისეთი ეკონომიკური კატეგორიის გამოხატვისა და რაოდენობრივი შეფასების ხერხის ძიების აუცილებლობას, როგორიცაა ეფექტურობა. შედეგად წარმოების საშუალებების ნაწილი რეგულარულად კვლავ იწარმოება იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული გადახარჯვა საჭირო დონეზე მეტი ოდენობით. ამას შედეგად მოჰყვება შრომის შემოსავლიანობის ნორმების გადიდება და საწარმოო პროცესების სრულყოფა.

შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ცალკეულ ჯგუფებად. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია დამოკიდებულება დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებას შორის. ამისათვის საჭიროა შეფასება განხორციელდეს დანახარჯების შემცირების, ან დამატებითი შემოსავლის გადიდების თვალზასრისით.

დანახარჯების შემცირება შეიძლება დაქმყაროს რეზერვების გამოვლენას პროდუქტის თვითღირებულების ფორმირების ოპერატიული მართვისათვის ცალკეული სახეობების მიხედვით. ამასთან შეიძლება გამოყენებული იქნას მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება საწარმოო ხარჯების დაყოფას მუდმივ და ცვალებად ხარჯებად.

პროდუქტი შეიძლება არსებობდეს სასაქონლო კაპიტალის სახით. კაპიტალის შემოსვლა ბაზარზე სასაქონლო მარაგის სახით დაკავშირებულია ხარჯებთან, რომლებიც განეკუთნება მიმოქცევის სფეროს.

სასაქონლო მარაგი არსებობს სამი ფორმით: საწარმოო კაპიტალის, ინდივიდუალური მოხმარებისა და სასაქონლო მარაგების ფორმით.

საწარმოო კაპიტალის ფორმით წარმოდგენილი მარაგი შეიძლება არსებობდეს წარმოების საშუალებების სახით, რომლებიც მონაწილეობენ წარმოების პროცესში. სასაქონლო მარაგმა უნდა მიაღწიოს განსაზღვრულ სიდიდეს, რათა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა. მარაგების სიდიდე უნდა აღემატებოდეს გაყიდვების ან მოთხოვნის საშუალო სიდიდეებს. საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა მარტო შრომითი დანახარჯებით, არამედ წარმოებაზე დახარჯული აუცილებელი სამუშაო დროის მასით (სიდიდით). ივ

საბრუნავი კაპიტალი (ანუ საბრუნავი საშუალებები) შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფინანსური კატეგორია, რომელიც განეკუთვნება საწარმოს მობილურ აქტივებს. საბრუნავი საშუალებები ფულად გარდაქმნის უნარზე დამოკიდებულებით იყოფა ძნელად რეალიზებად (მზა პროდუქტის მარაგები, ნედლეული და მასალები), სწრაფად რეალიზებად (დებიტორული დავალიანება, სახსრები დეპოზიტებზე) და შედარებით ლიკვიდურ (ფულადი სახსრები და ფასიანი მოკლევადიანი საბაზრო ქაღალდები) საშუალებებად.

მარაგები ესაა ეკონომიკური კატეგორია, რომელიც შესაძლებელს ხდის განისაზღვროს მათი შექმნა ყველა განთავსების მიხედვით უშუალოდ მომხმარებელთან წარმართვის გზით.

თანამედროვე პირობებში საბრუნავი კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ მდგრმარეობას, გადასახადებისა და ფინანსური მდგრადობის შეფასების ტრადიციული მეთოდები ემყარება მაჩვენებელთა დიდ რიცხვს (დიდი რაოდენობის მაჩვენებლებს), რომლებიც ყალიბდებიან საწარმოს ბალანსის აქტივების და პასივების სტრუქტურიდან. ცნებები ”გადახდისუნარიანობა” და ”ფინანსური მდგრადობა” პირობითია და არ გააჩნიათ მკაფრი საზღვრები. გადახდისუნარიანობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომელთა მეშვეობით იზომება დამოკიდებულება საბრუნავ საშუალებებს, ან ცალკეულ ელემენტებს და

მოკლევადიან დავალიანებებს შორის ანუ იმ მაჩვენებლებით, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რამდენად, რა ზომით შეძლებენ წარმოების აქტივები ვალების დაფარვას.

ფინანსური მდგრადობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომლებიც სხვადასხვა შერიც აფასებენ ბალანსის სტრუქტურას საწარმოში. მათი მიზანია შეაფასოს საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხი იმ შემთხვევითობებთან მიმართებაში, რაც დაკავშირებულია ბაზრის პირობებთან, შეთანხმებების ჩვეულებრივ დარღვევებთან, გადაუხდელობასთან და ა.შ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მთავარი კრიტერიუმებია გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები.

შეფასების სქემა - ესაა ბალანსის მონაცემების მიხედვით ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების გათვლა და მათი შედარება ექსპერტულად ან და ოფიციალურად დადგენილ ნორმატიულ დონესთან. საწარმოს გადახდისუნარიანობა იზომება:

1. ლიკვიდურობის კოეფიციენტით - გათვლებისას გამოიყენება ყველაზე ლიკვიდური საბრუნავი აქტივები, ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები;

2. დაფარვის შუალედური კოეფიციენტით-ლიკვიდურ აქტივებს ემატება დებიტორული დავალიანება;

3. დაფარვის საერთო კოეფიციენტით (ანუ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტით): ლიკვიდურ აქტივებს ემატება მარაგები, ანუ ესაა პრაქტიკულად გათვლილი საბრუნავი აქტივების მთელი სიდიდე ერთი ლარის მოკლევადიან დავალიანებაზე გაანგარიშებით. ეს მაჩვენებელი აღიარებულია საწარმოს გადახდისუნარიანობის ოფიციალურ კრიტერიუმად. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა განმაზოგადოებელი მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს საბრუნავი აქტივების მთლიან მოცულობას, თუმცა აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება რომ საბრუნავი აქტივების შემადგენელი ელემენტები სხვადასხვაგვარია ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით. მოცემული კოეფიციენტის დონის შეფასება ამ გარემოებების გაუთვალისწინებლად განაპირობებს არაზუსტი დასკვნების გაკეთებას. საწარმოთა უმეტესობა, ორიენტირებულნი არიან მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის ზრდაზე, ამავდროულად ქმნიან პირობებს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის ზრდისათვის. გადახდისუნარიანობის ოფიციალური კრიტერიუმები აფასებენ ფინანსური მდგომარეობის ერთ ასპექტს - მოკლევადიანი დავალიანებების უზრუნველყოფას საბრუნავი აქტივებით.³

მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საბრუნავი კაპიტალის ფორმებს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი პირობების სახით.

1. საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის დადგენა.

2. საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრა.
3. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების გამოვლენა.
4. საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაცია.
5. საბრუნავი კაპიტალის გამოყენების უფექტიანობა.

საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის ასეთი დახასიათება იმის დასტურია, რომ დიდი ხედრითი წილითაა წარმოდგენილი საბრუნავი ფონდები. ზოგიერთი ავტორის აზრით საბრუნავ ფონდებს უნდა მივაკუთვნოთ მარაგებში და წარმოებაში ჩადებული საშუალებები. თუმცა შეიძლება საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია წარმოდგენილი იქნას დაგეგმვის ხარისხის მიხედვით, როგორც ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი. ეს დაკავშირებულია პრაქტიკის მოთხოვნებთან და განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე ორიენტაციასთან.

წარმოდგენილი მახასიათებლების რეალიზაცია გულისხმობს საბრუნავი კაპიტალის ყველა სახეობის გავლენის რაოდენობრივ შეფასებას საბოლოო შედეგზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 6. ვ. მიროშნიკი. საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელობა გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკაში. ვოლგოგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2000.
2. 6. ვ. მიროშნიკი. საბრუნავი კაპიტალი მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები. ქ. პერზა 2000.
3. ი. ტ. ბალაბანოვი. რისკი-მენეჯმენტი. მოსკოვი. 1996. გვ. 188.
4. ი. ა. ბლანკი. ფინანსების სტრატეგია და მართვა. კიევი 1996. გვ. 534.
5. ბ. შვალბე; ს. შვალბე, პერსონალის მართვა, კარიერა, წარმატება. მოსკოვი. 1993. გვ. 240.

WORKING CAPITAL MANAGEMENT FIRMS IN THE SPOTLIGHT

I. Frangishvili

Summary

working capital position of substantial influence impacts of the economic conditions, the functioning of the top of the enterprise. The increased prices for purchased goods and material values of the enterprises for their working capital is a large scale shortages. working capital efficiency is determined by the firm's efficiency, so it's management is one of the main question.

РАБОЧИЕ ФИРМЫ ПО УПРАВЛЕНИЮ КАПИТАЛОМ В ЦЕНТРЕ

ВНИМАНИЯ

И. Франгишвили

Резюме

Эффективность Оборотного капитала определяется общей эффективности фирмы, так что управление его управление - ключевой вопрос. Фирмы должны поддерживать критическую массу ресурсов предоставление оборотного капитала до минимального уровня, что не будет вмешиваться в нормальное функционирование производства и в то же время переехал средств. управление оборотным капиталом важно для достижения оптимального соотношения между ростом рентабельности производства и обеспечением устойчивой платежеспособности предприятий что свидетельствует о финансовой устойчивости предприятия.



УДК 621.7 (088.8)

**РАСЧЁТ И ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ СИСТЕМЫ
БАЗИРОВАНИЯ НАГРЕТОЙ ЗАГОТОВКИ ПРИ РОТАЦИОННОМ
СТРОГАНИИ**

О. Г. Рухадзе, Е. О. Рухадзе

(Грузинский технический университет. Ул. Костава 77.0175. Тбилиси, Грузия)

Резюме: В статье производится краткий обзор состояния вопроса к созданию систем базирования нагретой заготовки при ротационном строгании. На базе научно-исследовательских и опытно-конструкторских работ создана система базирования нагретой заготовки с учётом теплоизоляции шпиндельных узлов станка и надёжности крепления заготовки. Определены параметры зажимных элементов расчётным и экспериментальным путём.

Ключевые слова: ротационное строгание, рифленый центр, теплоизоляция, шпиндель, система охлаждения.

ВВЕДЕНИЕ

Научно-технический прогресс и дальнейшее развитие машиностроения и металлообработки, возможны лишь путём создания и внедрения в производстве "новых поколений машин и оборудования", которые способны обеспечить внедрение прогрессивной технологии и многократно повысить производительность труда. В этом направление одним из положительным примером является создание термо-ротострогального станка мод. ТРСС-1 [1][2][3], позволяющий обработать сверхтвёрдых и жаропрочных материалов в нагретом состоянии с использованием тепло нагретой заготовки от предыдущего технологического цикла (Отливка, прокатка, поковка и т.д.)

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Нормальный процесс работы термогидрострогального станка и инструмента, при ротационном строгании, во многом зависит как от качества базирования и степени охлаждения горячей заготовки, так и от теплоизоляции шпиндельных узлов системы зажима заготовки.

Для решения этих задач необходимо было произвести расчётные и экспериментальные работы в области сопротивления материалов и теплофизики, так же проектирование соответствующих узлов станка и конструкции детали базирования.

См. рис. 1




рис. 1. Рифленны центр

Эксперименты по определению степени теплопередачи нагретых заготовок проводились на образцах биметаллической заготовки - $D_3 = 151 \text{ мм}$ $L_3 = 500 \text{ мм}$

Нагрев исследуемой заготовки до $1413\text{-}1423^0\text{K}$ осуществлялись в камерной электропечи. Затем заготовку при исходной температуре $T_{02} = 1173^0\text{K}$, транспортировали к станку и зажимали на центрах с исходной температурой $T_{01} = 293^0\text{K}$, с усилием $F_{заж} = 120 \text{ кН}$, на время 3 мин. т.е. польного технологического цикла обработки.

Температурное поле контактирования записывали посредством термопар зачеканенных в рифленом центре. См. рис.1 и осциллографом типа Н105. Эксперименты проводились без и при наличии окалины в контакте, как с охлаждением, так и - без охлаждения рифленого центра. При этом определяли, как и объем охлаждаемой жидкости ($\text{Qл}/\text{мин}$) так и прирост температуры ($\Delta T^0\text{K}$) в течение всего цикла контакта. Устанавливали так же степень охлаждения рифленого центра и после снятия горячей заготовки. По результатам исследования для каждой точки замера построили графики см. Рис.2




Рис. 2 Кривые распределения температур в системе "рифленый центр - биметаллическая заготовка (Ст.X12-Ст.45)" при начальных температурах $T_{02}=1173^{\circ}K$; $T_{01}=293^{\circ}K$ и усилии $F_{заж}=120\text{ kH}$

- a) 1и2 - кривые распределения температуры в соответствующих точках замера
- б) 3- кривая распределения температуры в зоне контакта.

Кроме экспериментов распределения температуры в теле рифленого центра и заготовки производили расчетным путём на основе решения задачи о сопротивлении двух полуограниченных стержней с различной начальной температурой. В частности, решением дифференциального уравнения теплопроводности.

$$\partial_T / \partial \tau = a \partial^2 T / \partial x^2 \quad (1)$$

получено, что температура любой точки вглубь расположения контактируемых тел [4]

$$T_1 = T_{02} + Q_1(T_{01} - T_{02}) \quad (2)$$

$$T_2 = T_{02} + Q_2(T_{01} - T_{02}) \quad (3)$$

Где T_1 и T_2 - температура тел в точках на расстоянии X от соприкосновения; T_{01} и T_{02} - исходная температура тел; Q_1 и Q_2 - относительные температуры первого и второго тела.

На границах двух тел, т.е. при $X=0$ параметр температуры определяется выражением:

$$Q = \frac{ezfx}{2\sqrt{a\tau}} = ezf \frac{1}{2} \sqrt{F} = 0 \quad (4)$$

где $F = \frac{a\tau}{x^2}$ - число Фурье; a - коэффициенты температуропроводности тел; τ - время соприкосновения.

При этом известно, что относительная температура контактирования устанавливается мгновенно и не зависит от времени $Q_K = \frac{K\epsilon}{1+K\epsilon}$ где $K\epsilon = \frac{\epsilon_1}{\epsilon_2}$ - отношение тепловых активностей тел. В итоге, решением уравнения (1) и (2) [4] получаем, что для контактируемых материалов Ст.40Х-X12; $T_{K1}=697,8^0K$, а для Ст.40Х-Ст.45; $T_{K2}=750,8^0K$ (где Ст.40Х материал центра) температура контакта на поверхности материала Ст. X12- $T_{K1}=699^0K$, а на поверхности Ст.45 - $T_{K2}=751^0K$.

Расчёты, величины, и характеристики распределения температур контактируемых тел (при $X \neq 0$) производим аналогично. При этом температуру будем рассчитывать при продолжительности контакта $\tau=1, 10, 20, 40, 60$ и 90 сек. В результате по расчетным и экспериментальным данным строим графики см. Рис. 3




Рис. 3 Кривые распределения температур в системе "рифленый центр (Ст.40Х-биметаллическая заготовка Ст.X12-Ст.45)" в различные моменты времени в пограничном и вглубь пограничного слоя на расстоянии 1,3,4 мм.

Распределение температуры в заготовке:

- На расстоянии 1; 3; 4 мм - кривые 1-2-3 (расчетные)
- На расстоянии 4мм без контакта с центром - кривая 9 (Экспериментальная)

Распределение температуры в рифленом центре

- На расстоянии 1; 3; 4 мм - кривая 4-5-6 (расчетные)
- На расстоянии 1мм с охлаждением центра с окалиной в контакте - кривая 7' (Экспериментальная)
- На расстоянии 45 мм от контакта с охлаждением и с окалиной в контакте - кривая 8 (Экспериментальная)

Расчет и определение конструктивных параметров системы базирования и условия гарантированного зажима горячей заготовки осуществлялась по специальной методике. В частности, по величине и характеру нагрузку стыка "рифленый центр - горячая заготовка" определяли величину сопротивления деформированнию контактируемой нагретой заготовки (q_s).

При эксперименте на верхний торец нагретой до 1173^0K заготовки из металла Ст.45 ($D_3=150\text{мм}$ $L_3=500\text{мм}$) помещали специальное устройство с шестью зубчиками (см. Рис.4 а, б) и прилагали (в течение 1-ой секунды) усилие $F_h = 32000\text{Н}$. и выдерживали так до 4 мин. затем усилие снимали. После остывания заготовки устройство удоляли и снимали отпечатки зубчика (см. Рис.4 б)




Рис. 4. а) Экспериментальная система исследования деформирования горячей заготовки, б) параметры отпечатков зуба

Суммарную площадь (ΣS) деформированного участка определяли по параметром отпечатков [5] из выражения

$$\Sigma S = \Sigma S_1 \cdot n = \left[\frac{L}{2(B_1 + B')} \right] \cdot n = \left(\frac{h}{\cos \beta / 2} + \frac{h'}{\cos \beta' / 2} \right) \cdot L \cdot n \quad (5)$$

где h' и h - глубины отпечатка; L -длина; ΣS_1 -площадь отпечатка одного зуба; β и β' - углы вершины отпечатков по краям зуба; см табл.1, $n=6$ - число отпечатков на заготовке. В итоге, по данным расчетов получили, что удельное сопротивление исследуемого материала (Ст45) при температуре 1370^0K

$$q_s = \frac{F_h}{\Sigma S} = 172 \text{ H/mm}^2 \quad (6)$$

Таблица 1

Параметры отпечатков зуба

0,8	<i>h</i>	<i>мм</i>
0,3	<i>h'</i>	<i>мм</i>
2,0	<i>C</i>	<i>мм</i>
1,158	<i>B_I</i>	<i>мм</i>
0,37	<i>B'_I</i>	<i>мм</i>
20,2	<i>L</i>	<i>мм</i>
98,6	<i>β⁰</i>	
73,2	<i>β'⁰</i>	
31,2	ΣS_I	<i>мм²</i>
2	ΣS	<i>мм²</i>
172	<i>qs-Cm45</i>	<i>H/</i>
367	<i>qs-X12</i>	<i>H/</i>
32000	<i>F_H</i>	<i>H</i>

По данным предшествующих исследований известно, что базирующие поверхности, подвергаясь деформированию, позволяют за счет внедрения в нагретый металл зубчиков центра применять в качестве баз, как центровые гнезда, так и торец заготовки одновременно, (подразумивается эскиз заготовки после центровки с подрезкой торец) [5]

В этом случае базирующие элементы на торец могут играть роль поводков и, тем самым увеличивают возможность передачи ощутимых знакопеременных крутящих моментов при ротационном строгании [5]

Расчет конструктивных параметров основного базирующего элемента, т.е. рифленого центра будем производить по двум вариантам базирования:

Базирование на рифленый конус и на рифленый торец.

Вариант I - базирование на рифленый конус.

Составим расчетную схему (рис.5а), рассмотрим профиль зуба рифленого центра, как частный случай трапеции [6] и определим координаты центра тяжести.

$$C_1 = \frac{(bP' + 2P'')}{3(P' + P'')} ; \quad C_2 = b - C_1 \quad (7)$$

Силы, действующие в контакте

$$P' = \frac{2\sum M_{pe3}}{d'_{OT}} ; \quad P'' = \frac{2\sum M_{pe3}}{D_\phi} \quad (8)$$

где $\sum M_{pe3} = 2000 - 2400$ НМ - расчётный суммарный максимальный крутящий момент резания; $d'_{OT} = 2R_I$ - средний диаметр фаски в мм. [5]




Рис.5 (а,б) Расчетная схема основных параметров ведущего центра при базировании нагретой заготовки:
а) на рифленый конус, или б) на торец

По данным расчетной схемы (рис.5 а,б) получим, что длина фаски

$$b = a \cdot \operatorname{ctg} \alpha; \quad \text{где } \alpha = (D_\phi - d_{\text{от}})/2 \quad (9)$$

Где $d_{\text{от}}$, D_ϕ - минимальный и максимальный диаметр фаски в мм, $\alpha = 30^\circ$ - половина угла вершины усечённого конуса фаски. Радиус, воспринимающий крутящий момент

$$R_1 = d_{\text{от}} / 2 + a_1; \quad \text{где } a_1 = C_2 \operatorname{tg} \alpha \quad (10)$$

Окружное усилие от сил резания

$$P_1 = \Sigma M' / R_1, \quad \text{где } \Sigma M' = K M_{\text{рез}} \quad (11)$$

$K = 1,5 \div 2$ - коэффициент запаса, $C_2 = 7,65$ см. таб.2

Зная метод базирования, определяем площадь среза

$$F_{\text{CP1}} = F_{K1} - F_{b3} \cdot n_1 \quad (12)$$

где площадь боковой поверхности усеченного конуса, мысленно построенного по вершинам зубьев рифленого центра.

$$F_{K1} = \pi \cdot \sqrt{a^2 + b^2} \cdot [(D_\phi - d_{\text{от}})/2] \quad (13)$$

Площадь вершины одного зуба

$$F_{b3} = 1 \sqrt{a^2 + b^2} \quad (14)$$

Количество зубьев рифленого центра

$$n_1 = 2\pi(Z_{\text{L min}} - h_3) / t \quad (15)$$

где $Z_{\text{L min}} = 26$ мм - минимальный радиус центра - выбран в зависимости от минимального радиуса отверстий биметаллической заготовки.

$h_3 = 3.5$ мм - высота зуба; $t=5$ мм - шаг зубьев.

Вариант II - базирование на рифленый торец

Составим расчетную схему (рис 5.6)

Определяем эпиору сил, действующих в контакте.

$$P' = 2 \sum M_{PE3} / D_{HAP}; \quad P'' = 2 \sum M_{PE3} / D_{BHT} \quad (16)$$

где D_{HAP} и D_{BHT} - наружный и внутренний диаметр рифленного центра в мм.

Координаты центра тяжести трапеции по оси

$$l = \{(D_{HAP} - D_{BHT})/2\}(P'' + 2P') / 3(P'' + P') \quad (17)$$

Радиус, на котором воспринимается крутящий момент:

$$R_2 = D_{BHT} / 2 + l \quad (18)$$

Усилие, передающееся от сил резания

$$P_2 = \sum M' / R_2$$

Определяем фактическую площадь слеза:

$$F_{CP} = [\pi(D_{HAP}^2 - D_{BHT}^2)/2 - (D_{HAP} - D_{BHT}) \cdot k \cdot n_2] / 2 \quad (19)$$

где $k=0,1 \div 0,2$ ширина вершины зуба.

число зубьев рифленного центра

$$n_2 = \pi D_{BHT} / t$$

где $t=6$ мм - шаг зубьев. В итоге производим расчеты основных базирующих элементов рифленого центра и заготовки см. таб. 2

таблица 2

Расчетные параметры базирующих элементов рифленого центра и биметалической заготовки.

a мм	a_I мм	b мм	l мм	C_I мм	C_2 мм	D_{HAP} мм	D_{BHT} мм	$R_{I,2}$ мм	$P'_{I,2}$ кН	$\Sigma M'$ Нм	$F_{CP,I,2}$ см ²	$F_{K6,I,2}$ см ²	$F_{63,I,2}$ см ²	$n_{I,2}$ шт
8,5														
4,4														
14,72														
12,26														
7,07														
7,65														
14,5														
92														
58,2	36,4													
5,52	12,5													
8,69	9,87													
68,73	109,9													
4000														
25,7	33,93													
38,69														
0,17														
48	28													

Расчет напряжения среза производим по уравнению

$$\tau_{cp} = P / F_{cp} \quad (20)$$

где P - окружное усилие от сил резания в H , F_{cp} - фактическая площадь среза в cm^2

при этом расчетное напряжение среза (τ_{cp}) сравниваем с предельным (τ_{\max}), по пределу текучести (σ_τ) нагнетоного материала [4].

Для надёжности расчетов на срез, вначале определяем глубину напряженного участка, а после, за исходный будем, брать предел текучести крайней точки напряженного участка нагретой заготовки.

По экспериментальным данным известно, что при статическом нагружении (в течение одной секунды) удельное сопротивление нагретого материала Ст.45 $q_s = \sigma_\tau = 172 \text{ Н/мм}^2$, см.

таб.1 Следовательно, посредством удельных сопротивлений углеродистой сталей [4] можно определить и соответствующую температуру напряженного участка. В частности для материала Ст.45 при удельном сопротивлении $q_s = 172 \text{ Н/мм}^2$, Максимальная температура напряженного участка $T_{n.уч.} = 993^\circ K$.

